# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 ივნისი 2002 №100 (1622) | ფასი 50 თეთრი


2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# პითონი დაიძრა

## არგენტინამ ნიგერია გადაყლაპა, ბრაზილიამ მსაჯი




არგენტინამ ნიგერია გაბრიელ ბატისტუტას (№9) თავურით მოგუდა

REUTERS



ბრაზილიელმა ლუიზაომ ბურთი და სხეული საჯარიმოში შეიტანა და კორეელ მსაჯს პენალტი დასტყუა

REUTERS

ჩემპიონობას იმსახურებსო, ვინმეზე თუ ვიტყვით, ასეთი ჯერჯერობით არგენტინაა — დიდი, ღონიერი და მოქნილი პითონი, რომელმაც ისე მოგუდა და გადაყლაპა ნიგერიის ნაკრები, მისგან მხოლოდ ტარიბო ვესტის კიკინები დარჩა.

...ბრაზილიელები ნაღდი ჯადოქრები არიან, კორეელ მსაჯ იონგ-იოო კიმზე ისე მაგიურად იმოქმედეს, საბრალომ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ისიც კი ვერ გაბედა, ცოცხალი კედელი დაეყენებინა საჭირო მანძილზე. რივალდომ კი სასამართლო მოუწყო ჰაკან უნსალს და მსაჯს ჯალათობა დააკისრა — თურქმა ბურთი რომ გამარტყა, არ მტკენია, მაგრამ შეგნებულად გავგორდი, რომ გაეძევებინათო.

...ინგლისელებმა შვედის ხელში ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარეს და თურმე გასახდელში ამბობდნენ, ეს რა მოგვივიდა, როგორ წავაგეთო. ერიკსონი კი არწმუნებდა, ფრე იყო, ჩემს ხელში თქვენ ოფიციალური თამაში არ წაგიგიათო.

...ეძიეთ ქალიო, იტყვიან ფრანგები, თუმც ჯერაც მსოფლიოს ჩემპიონებს საძებარი არაფერი აქვთ, სავარჯიშოდაც კი ცოლ-ნაშეულის თანხლებით ისე არხეინად დაიარებიან, თითქოს გახსნის მატჩი არ წაეგოთ. ამის წინააღმდეგ უკვე გაილაშქრა გუნდის ბრძენმა ექიმმა ჟან მიშელ ფერემ, მოგვაშორეთ ეს ქალებიო.

...რა „კუკლასავით" გუნდია დანია და რა ყოველთვის ერთნაირად დამარცხებულია ურუგვაი. რა უცნაური მსაჯია ლუბოშ მიხელი, რომელსაც ან ორი პენალტი უნდა დაენიშნა, ან არც ერთი და რა ძნელია, იტალიელმა თამაშელებილმა მოხუცმა ჩეზარე მალდინიმ დისციპლინას შეაჩვიოს პარაგვაელი ყმაწვილები.

# დანიური სამკუთხედი და ტომასორი




იონ დალ ტომასონმა (№9) ურუგვაელებს ქულა არ შეარჩინა

## კორეა-იაპონია 2002 A ჯგუფი. I ტური

## №3 ურუგვაი 1:2 დანია

1 ივნისი. ულსანი (კორეა). 14.00 „ულსან მუნსუ სთედიუმ". 30 157 მაყურებელი

0:1 ტომასონი (45), 1:1 როდრიგესი (47), 1:2 ტომასონი (83)

მწვრთნელი ვიქტორ პუა

1 კარინი

2 გ. მენდესი, 14 სორონდო, 4 მონტერო, 6 დ. როდრიგესი

5 პ. გარსია, 7 გიგუ

8 ვარელა, 20 რეკობა

13 აბრეუ

9 დ. სილვა

11 სანდი, 9 ტომასონი

8 გრონკიაერი, 19 რომედალი

7 გრავესენი, 2 ტოფტინგი

5 ჰაინცე, 3 ჰენრიქსენი, 4 ლაურსენი, 6 ჰელვეგი

1 სორენსენი

მწვრთნელი მორტენ ოლსენი

შეცვლა: ჰაინცე – 12. ნ. იენსენი (58), გრონკიაერი – 10. იორგენსენი (70), რეკობა – 17. რეგუერო (80), როდრიგესი – 11. მაგალიანესი (87), სანდი – 17. პოულსენი (88), აბრეუ – 18. რიჩარდ მორალესი (88)

გაფრთხილება: მენდესი (25), ჰაინცე (34), ლაურსენი (51)

მსაჯები: საად კამელ მანე (ქუვეითი); ავნი ჰასუნეჰი (იორდანია), დრამანე დანტე (მალი)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 8 |
| 8 | კუთხური | 7 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

**პაატა კვანტალიანი**

**უცნაურად** ჩაება ურუგვაი 16-წლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატში. შაბათს სამხრეთელებმა ერთობ არაურუგვაული ფეხბურთი ითამაშეს და რაც მოიმკეს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. ვიქტორ პუას დამოძღვრილებმა ულსანში ჩვეულ, ხისტ სათამაშო სტილს უგანეს, მეტოქესაც დიდი სივრცე დაუთმეს და ბურთის წკაპუნს ნაჩვევ დანიელებსაც სხვა რაღა უნდოდათ. მძლავრი დებიუტის და დარიო როდრიგესის ჩინებული გოლის შემდეგ ურუგვაელთა მარცხი ეგებ ვინმეს არაკანონზომიერადაც მოეჩვენოს, მაგრამ ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ გადამწყვეტ მომენტში საგოლედ შემართული სამხრეთელები სიარულში ხვანჯრის შემკვრელ ცელქ მოსწავლეებს გავდნენ.

პუას გუნდი ფიზიკურმა მომზადებამაც დაალალატა — მარიო რეგუეროთი შეცვლილ ალვარო რეკობას სათადარიგოთა სკამამდე მისვლაც გაუჭირდა, უკეთეს დღეში არც იმედ-მეგოლე დარიო სილვა გახლდათ და ამიტომაც იყო, მალაგელმა მეორე ტაიმის დიდი ნაწილი ოღონდ თავის ნახევარზე მეტოქისთვის ხელის შეშლის მცდელობაში რომ გალია.

ცხადი იყო, ბედოვლათი გოლის შემდეგ ურუგვაელებმა ფრე იგუმანეს და ამიტომაც არ ჩართო პუამ თამაშში სერია A-ში ნაჯირითევი შემტევი მაგალიანესი, მაგრამ ვიკინგთა შორის ჩაკარგული სებასტიან აბრეუ აშკარად წვალობდა მოედანზე. მწვრთნელს იგი გაცილებით ადრე უნდა გამოეთხოვა სათადარიგოთა სკამზე.

თავში საპასუხო ურუგვაელების მიერ მეტოქისთვის სათამაშო სივრცის დათმობა ვახსენეთ და ამიტომაც იყო, ქრიამულით რომ დაიწყო მატჩი. საწყის ხუთ წუთში ოთხი რეალური საგოლე მომენტი შეიქმნა. ჯერ საჯარიმოში საგოლედ შემართულ დარიო სილვას შეუშალა ხელი გამოცდილმა იან ჰაინცემ, წუთის მერე კი საპირისპირო კართან იონ დალ ტომასონი დატრიალდა ჯარასავით, მაგრამ მცველებმა კუთხურსღა დააჯერეს. მერე კი რეკობას 20-მეტრიან პასს ვერ დაუხვდა დარიო სილვა და იქვე რომედალმაც მოხდენილად აჭრა ბურთი მარჯვენა ფრთიდან, მაგრამ ბედად ურუგვაელები გადარჩნენ.

ორმხრივი შეტევებით გალეულ სადებიუტო წუთებს დანიელთა უპირატესობა მოჰყვა და ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ცენტრში მწყობრად განლაგებულმა ვიკინგებმა მოკლე პასით სცადეს ურუგვაელთა წახდენა და მეტოქე რომ გვარიანად დაზაფრეს, ებე სანდის გაწოლილმა თავურმა და ხარიხის შემზანზარებელმა რომედალმაც ცხადყვეს.

ურუგვაი დაცვაში ჩამჯდარი რომ არ იყო, რეკობას ჯარიმამ და როდრიგესის თავურმაც დაადასტურა. რეკობა საერთოდაც საუკეთესო იყო თავისიანთა შორის, მეურვეებსაც არაერთხელ მოწყდა და პასებიც ბლომად ჩამოურიგა თანაგუნდელებს, მაგრამ აკი ვთქვით, გადამწყვეტი დარტყმებისას სამხრეთელი შემტევები ჩქარობდნენ, თორემ სხვა მხრივ, თითოჯერ გოლის ხლვარზე მდგარი დარიო სილვა და როდრიგესი არ გაწბილდებოდნენ.

დანიას კი ამ ეპიზოდების მიუხედავადაც ეტყობოდა, რომ პირველი გოლის გატანას ეშურებოდა. ორწუთიან მონაკვეთში ვიკინგთა მიერ ჩაწოდებულ ოთხ კუთხურს ურუგვაელთათვის სახიფათო ბევრიც არაფერი მოჰყოლია, მაგრამ შესვენებამდე წამებით ადრე ევროპელებმა ალტაცების მომგვრელი კომბინაცია გაითამაშეს. გრავესენ-გრონკიაერ-ტომასონის ეფექტური სამკუთხედით გაბრუებულთა შორის დარიო სილვაც მოხვდა, მერე მონტეროც ჩაფლავდა და ტომასონმა ლამაზად გათამაშებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი.

ურუგვაელებს იმედი დანიელთა კარში როდრიგესის მიერ გატანილმა გოლმა გაუჩინა. „პენიაროლის" შემტევის რეკობას აკეწლილ-აგდებულ ბურთს მართლაც მადლიანად მოუქნია და სამხრეთელთა საფრეო ფიქრებიც აქედან დაიწყო, ვიქტორ პუას შეცდომაც ეს გახლდათ — დანიელებს ისედაც დაღლილი მეტოქის გათანგვა აღარ გასჭირვებიათ და ტომასონის მოხდენილი თავურიც მატჩის მსვლელობის ლოგიკური დასასრული გამოდგა.

ჯგუფიდან გამსვლელებს ჰგვანან მორტენ ოლსენის ბიჭები...

## მატჩის შემდეგ

### მორტენ ოლსენი
*დანიის ნაკრების მწვრთნელი*

დასაწყისში ორივე გუნდი ნერვიულობდა, მერე კი ინიციატივას ჩვენ დავეუფლეთ. რომედალსა და ტომასონს გატანის კარგი შესაძლებლობები მიეცათ, რომლებიც ვერ გამოიყენეს, თუმც ტომასონმა შემდეგ ორი ლამაზი გოლი შეაგდო.

ბოლო ერთი საათი გამართული ტაქტიკით ვითამაშეთ, რაშიც ძლიერი ფიზიკური მომზადება დაგვეხმარა. დამუშავებული კომბინაციები კარგად გამოვიყენეთ და შედეგიც მივიღეთ.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფის ფავორიტად მაინც საფრანგეთს მივიჩნევ. დანია, სენეგალი და ურუგვაი მეორეობისთვის იბრძოლებენ.

### ვიქტორ პუა
*ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი*

წაგების მიუხედავად შემართება არ დაგვიკარგავს. ორი თამაში წინაა, რომლებსაც დიდი იმედით შევყურებთ. დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ და ვეცდებით აღარ გავიმეოროთ.

თამაში კი, ჩემი აზრით, თანაბარი იყო. მეტოქეზე არანაკლები მომენტები გვქონდა გოლის გატანისა, თუმც ბოლოს დანიელებს გაუმართლათ.

## სტენოგრამა

**მე-7 წუთი:** საჯარიმოს კუთხესთან მიახლოებულმა დენის რომედალმა მოჭრილი დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ არ გაუმართლა.

**მე-8 წუთი:** ალვარო რეკობას სახიფათო საჯარიმომ სანტიმეტრებში ჩაუქროლა შორეულ ძელს.

**მე-12 წუთი:** მარტინ იორგენსენის ჩაწოდებულს ებე სანდმა ნახტომში თავი შეაგება — ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

**მე-16 წუთი:** ალვარო რეკობამ საჯარიმოში დარიო როდრიგესს თავზე დაასვა ბურთი, თუმც მეკარემ იმარჯვა.

**მე-40 წუთი:** ალვარო რეკობამ ამჯერად დარიო სილვას უპასა, მაგრამ ამის დარტყმულს მცველი აეფარა და ვითარებაც განიმუხტა.

**42-ე წუთი:** მეკარესთან პირისპირ დარჩენილ იონ დალ ტომასონს გუსტავო მენდესი წამოეპარა და ბურთი ვარდნაში ააცალა.

**45-ე წუთი:** თომას გრავესენის წამოწყებული კომბინაცია გრონკიაერმა და დალ ტომასონმა მშვენივრად გააგრძელეს და გოლითაც დააგვირგვინეს — იონ დალ ტომასონმა ბურთს მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი.

**47-ე წუთი:** ალვარო რეკობამ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა. იქ კი უმეთვალყურეოდ დარჩენილმა დარიო როდრიგესმა შეუჩერებლად გაისროლა და კარის მარჯვენა ცხრიანი „გაარღვია".

**65-ე წუთი:** ალვარო რეკობას შორეულ დარტყმულს თომას სორენსენი გაუმკლავდა.

**83-ე წუთი:** მარტინ იორგენსენმა იონ დალ ტომასონს თავზე დაასვა ბურთი. ამან კი უნაკლოდ დაარტყა და თავისიანებს გაამარჯვებინა.

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სენეგალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |




ებე სანდმა (№11) და იან ჰაინცემ დარიო სილვა დაყირავეს



უსახური პირველი ტაიმის ბოლოს რაულმა (№7) ნავსი მაინც გატეხა

# რომელ კლასში ხარ, ბიჭო?

## კორეა-იაპონია 2002 B ჯგუფი. I ტური

## №8 ესპანეთი 3:1 სლოვენია

2 ივნისი. გვანჯუ (კორეა). 16.30 „გვანჯუ უორლდ კაპ სთადიუმ". 28 598 მაყურებელი

1:0 რაული (44), 2:0 ვალერონი (74), 2:1 ციმეროტიჩი (82), 3:1 იერო (87პ)




შეცვლა: ოსტერცი – 21. ციმეროტიჩი (57), ზაჰოვიჩი – 18. აჩიმოვიჩი (63), ტრისტანი – 9. მორიენტესი (67), ლუის ენრიკე – 4. ელგერა (74), ნოვაკი – 14. გაიზერი (77), ხუანფრანი – 15. რომერო (82)

გაფრთხილება: ვალერონი (36), კარიჩი (45), ციმეროტიჩი (65)

მსაჯები: მოჰამედ გუეზაზი (მაროკო); ალი ტომუსანგე (უგანდა), ეგონ ბერიუტერი (ავსტრია)

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 14 | კარში დარტყმა | 11 |
| 2 | თამაშგარე | 0 |

**გიორგი დარჯანია**

თითქოს უცნაური რამ მოხდა, ესპანეთის ნაკრებმა გაიმარჯვა. უცნაური კი ის გახლავთ, რომ ესპანელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველი მატჩი მთელი 52 წელია, არ მოეგოთ. შორეულ 1950 წელს, ბრაზილიის მუნდიალზე მათ ჩილეს ნაკრები დაამარცხეს, რასაც რვა უხეიროდ დაწყებული ჩემპიონატი მიაყოლეს, ოთხჯერ კი საერთოდაც ვერ გადალახეს შესარჩევი ეტაპი. ამასთანავე, რომ არ იფიქროთ, იმ რვა მატჩში ესპანელებს ვებ უსაშველოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ, მოგახსენებთ — ჰონდურასისა და სამხრეთ კორეის დამარცხებაც ვერ შეძლეს.

მეორე მხრივ, ისტორიას თუ დავივიწყებთ, ესპანელთა გამარჯვებაში მოულოდნელი, ცხადია, არაფერია, ბოლოს და ბოლოს, ისინი ჩემპიონატის, უპირველესი არა, მაგრამ მაინც ფავორიტები არიან, სლოვენია კი ბოლო წლებში სტაბილური თამაშის მიუხედავად, მაინც მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს შემდეგი მტკიცებულება: გამარჯვების მიუხედავად, ესპანელთა თამაში შთამბეჭდავი არ იყო და სულაც, მუნდიალის ნომერი მერვე მატჩი წინა შვიდზე მოსაწყენი გამოდგა.

აქ ბუნებრივია, ჩნდება აზრი, რომ არაშთამბეჭდავი თამაშით სამი გოლის გატანა მეტოქის უსუსურობაზე უნდა მიანიშნებდეს. მაგრამ ასეც არ არის, უსუსურობა საუდელებთან მოვიკითხოთ, ესპანეთმა კი სლოვენიას უფრო მაღალი კლასის ხარჯზე მოუგო.

თუკი ეს თამაში ნახეთ, შენიშნავდით, რომ ესპანელებს სახიფათო მომენტები, მეტადრე პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ. მარცხენა ფლანგიდან ხავი დე პედრომ ბურთი საჯარიმოში მყოფ რაულს დაასვა თავზე, მაგრამ რეალელის თავურს მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი დაბალ კუთხეში დაუხვდა — კაცმა რომ თქვას, თავმოყვარე მეკარისთვის ეს არც იყო ძნელად ასაღები ბურთი. აი, ეს იყო და ეს, კამაჩოს ბიჭების კომბინაციები აღნიშნულ ეპიზოდზე სახიფათო ვერ გახდა — მოკლე პასებით სლოვენიელთა საჯარიმოში ვერ შედიოდნენ, ჩაწოდებები კი მცველთა ლუკმა ხდებოდა. ერთი სიტყვით, მათი ტაქტიკა იმას ჰგავდა, შაბათის „სარბიელში" სახალისოდ რომ წარმოგიდგინეთ („სად აქვს ესპანეთს ტაქტიკა?"). ჰო, დე პედრო ორჯერ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, დაახლოებით ერთი და იგივე ადგილიდან, ოცდაათიოდე მეტრიდან საჯარიმო დარტყმები შეასრულა და ორჯერვე ოდნავ ააცილა, თუმცა ეს სტანდარტული სიტუაციები იყო და არა მახვილგონივრული კომბინაციების შედეგი.

რაიმე გამოსარჩევი არც სლოვენიელებს გაუკეთებიათ, მათაც მეტ-ნაკლებად სახიფათო ორიოდე მომენტი ჰქონდათ და ორივე კუთხურის ჩაწოდებას მოჰყვა. უფრო სახიფათო მაინც პირველი იყო, მეოთხე წუთზე შექმნილი, როცა ზაჰოვიჩის ჩაწოდებულ ბურთს კარლეს პუიოლმა უხეიროდ უცვალა მიმართულება — საკუთარი კარისკენ გაისროლა, მაგრამ იკერ კასილიასმა მოიგერია, ალექსანდრ კნავსმა კი დამატებაზე ააცილა.

საერთოდ, სლოვენიელთა ყველა იერიში მარცხენა ფლანგიდან მოდიოდა, იქიდან, სადაც მლადენ რუდონია ეგულებოდათ, თუმცა რუდონია პუიოლს საიმედოდ ჰყავდა ამოკეტილი. მარჯვენა ფლანგზე კი ხუანფრანი ფაქტობრივად უსაქმოდ იყო და აქედან შეტევა სრეჩკო კატანეცის გუნდმა პირველად მეორე ტაიმის შუაგულშიღა სცადა, თუმც მეტისმეტად უხეიროდ.

და მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში, რომელიც თითქოს უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, გოლი მაინც გავიდა, რაც უპირველესად ლუის ენრიკეს დამსახურებაა — ბარსელონელმა ორი მეურვე ჩამოიტოვა, საჯარიმოში შეიჭრა, სადაც მას მცველი ჩაუვარდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ რაულის მისამართით მოიგერია, ხოლო რაული კარგად გასცდა ფეხებში ჩავარდნილ მცველს და სიმეუნოვიჩსაც აუღებელი დაურტყა.

ზემოთ ესპანელთა უფრო მაღალი კლასი რომ ვახსენეთ, სწორედ ამას ვგულისხმობდით — რაული მთელი ტაიმის მანძილზე საგულდაგულოდ ჰყავდათ ამოკეტილი, მაგრამ როგორც კი ერთადერთხელ ოდნავი თავისუფლება იგრძნო, გაიტანა.

შესვენების შემდეგ ვითარება დიდად არ შეცვლილა, სახიფათო მომენტები კვლავ ითითო-ოროლა იყო. ფერნანდო მორიენტესი კარგად გაისარჯა საჯარიმოში, დარტყმა კი ზუსტი ვერ გამოუვიდა, მეკარემ ფეხით აუღო. სხვათა შორის, მორიენტესი სულ ორიოდ წუთის შესული იყო დიეგო ტრისტანის ნაცვლად.

კლასიკური იყო ესპანელთა მეორე გოლი — დე პედრომ, რომელიც ლუის ენრიკესთან ერთად ყველაზე გამოსარჩევი გახლდათ მოედანზე, ფლანგიდან გაუჭრა გრძელი პასი ვალერონს, რომელმაც თავის მხრივ ორ მცველს დაასწრო და გაიტანა. მესამე, ფერნანდო იეროს პენალტით გატანილი გოლი კი საშა გაიზერის მიერ მორიენტესის საჯარიმოში წაქცევას მოჰყვა.

ამ გოლებს შორის ერთი ბურთი სებასტიან ციმეროტიჩმა გაქვითა, რაც გამარჯვების სურნელნაყნოსი ესპანელი მცველების ყურადღების მოდუნების შედეგი უფრო იყო.

მატჩის სხვა ამბებიდან აღსანიშნავია ხუანფრანის ტრავმა. სელტელს რონალდოური დაემართა — არავინ შეხებია, ისე დაშავდა და საკაცით გაიყვანეს.

შეხვედრის მანძილზე კი ორი სხვა ეპიზოდიც იყო, სლოვენიელებმა მეტოქის საჯარიმოში ბურთს ფეხი რომ ააცილეს. მოკლედ, კლასი...

## სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** ზლატკო ზაჰოვიჩის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი [illegible] თავით ალექსანდრ კნავსს დაუგდო, რომლის დარტყმულიც ოდნავ ასცდა კარს.

**მე-9 წუთი:** ხავიერ დე პედრომ საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა, თუმც რაულს მეკარემ დაასწრო.

**მე-16 წუთი:** ხავიერ დე პედროს საჯარიმო დარტყმა სლოვენიელთა კარს ასცდა.

**21-ე წუთი:** ხავიერ დე პედრომ ამჯერად 25-27 მეტრიდან გაისროლა, თუმც არაზუსტად.

**25-ე წუთი:** ზლატკო ზაჰოვიჩს იკერ კასილიასმა არ დაანება და რთული ბურთი აუღო.

**27-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს მილან ოსტერცმა დაუხვედრა თავი, მაგრამ ხარიხას გადააშორა.

**35-ე წუთი:** ხავიერ დე პედრომ საჯარიმოში რაული მოძებნა, რომლის დარტყმულ თავურზე მეკარემ სწრაფი რეაქცია გამოავლინა.

**მე-40 წუთი:** ხავიერ დე პედრომ კვლავაც ვერ გაისწორა მიზანი. მისი შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**44-ე წუთი:** ლუის ენრიკემ სისწრაფეში მცველი ჩამოიშორა, საჯარიმოსთან მიახლოებულს კი დაასწრეს, თუმც ბურთი რაულს მიუვიდა, რომელმაც ლამაზი ფინტით მოატყუა ერთი სლოვენიელი და მარცხენა ფეხით დალაშქრა მეტოქის კარი.

**53-ე წუთი:** ხუანფრანის ჩაწოდებულს რაულმა დაჰკრა, თუმც მცირედ ააცილა.

**58-ე წუთი:** დიეგო ტრისტანმა გაიბრწყინა, საჯარიმოში შეჭრილმა მცველი მოატყუა და კარშიც დაარტყა. მარკო სიმეუნოვიჩმა გუნდი გადაარჩინა.

**68-ე წუთი:** რაულმა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა ფერნანდო მორიენტესი, მაგრამ სიმეუნოვიჩმა აქაც იყოჩაღა.

**71-ე წუთი:** სიმეუნოვიჩმა ხავიერ დე პედროც გააწბილა — ოცი მეტრიდან დარტყმული აუღო.

**74-ე წუთი:** ხავიერ დე პედრომ იდეალური გადაცემა გაუკეთა საჯარიმოში შერბენილ ხუან კარლოს ვალერონს, რომელმაც უნაკლოდ დაარტყა.

**82-ე წუთი:** სებასტიან ციმეროტიჩმა კარლეს პუიოლი ჩამოიშორა და მეკარესაც შანსი არ დაუტოვა.

**87-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილი ფერნანდო მორიენტესი მოცელეს და მსაჯმაც პენალტი დანიშნა. ფერნანდო იერომ ზუსტად დაარტყა.

## მატჩის შემდეგ

**ხოსე ანტონიო კამაჩო**

*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი*

ძალიან მნიშვნელოვანია პირველი მატჩის მოგება. ამ გამარჯვებამ ჩვენს გულშემატკივრებს დიდი სიხარული არგუნა, თუმც, ვფიქრობ, ესპანური ფეხბურთი მეტს იმსახურებს და უფრო დიდი წარმატებები წინ გვაქვს.

სლოვენიელთა ძლევა იოლი არ ყოფილა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზეც შევხვდით და ვიცოდით, ძლიერები რომ იყვნენ. დარწმუნებული ვარ, ისინი სხვებს პრობლემებს შეუქმნიან.

**სრეჩკო კატანეცი**

*სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი*

აქამდეც ვამბობდი: მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ამბიციებით არ ჩამოვსულვართ, აქ მოხვედრითაც ბევრს მივაღწიეთ. ცუდია, რომ დავმარცხდით, თუმც ახლა მომავალ მატჩებს გაცილებით მხნედ შევხვდებით და ვნახოთ, რა გამოვა.

ისე, დასანანია, როცა მსაჯი თამაშს აფუჭებს. ამ დონის ტურნირზე ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდეს. არბიტრი ბევრჯერ შეცდა.

## ესპანეთი VS სლოვენია

| ესპანეთი | | სლოვენია |
|---|---|---|
| მიგელ ანხელ ნადალი (187 სმ)<br>იერო (187 სმ)<br>რიკარდო (187 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | მლადენ დაბანოვიჩი (196 სმ) |
| გაისკა მენდიეტა (173 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ჯონი ნოვაკი (172 სმ) |
| რიკარდო (87 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | მლადენ დაბანოვიჩი (94 კგ) |
| ხუან კარლოს ვალერონი (71 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | მარინკო გალიჩი (73 კგ)<br>მლადენ რუდონია (73 კგ)<br>ჯონი ნოვაკი (73 კგ) |
| ფერნანდო იერო (27 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ზლატკო ზაჰოვიჩი (32 გოლი) |
| ფერნანდო იერო (86) | ყველაზე მეტი თამაში | ალეშ ჩეჰი (72) |
| 181.6 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 183.5 სმ |
| 76.2 კგ | საშუალო წონა | 78.69 კგ |
| 25.24 | საშუალო ასაკი | 25.65 |
| იკერ კასილიასი (21 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | გორან სანკოვიჩი (22 წლის) |
| მიგელ ანხელ ნადალი (35 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | მარკო სიმეუნოვიჩი (34 წლის) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## B ჯგუფი. I ტური

# №6 პარაგვაი 2:2 ს.აფრიკა

2 ივნისი. პუსანი (კორეა). 12.30 „პუსან სთედიუმ". 25 186 მაყურებელი

1:0 სანტა კრუზი (39), 2:0 არსე (55), 2:1 სტრუვაი (63ს.კ.) 2:2 ფორჩუნი (90პ)




შეცვლა: ისა – 9. მუკანსი (27), ალვარენგა – 14. გავილანი (66), კამპოსი – 16. მორინიგო (73), მაკკარტი – 23. კუმანტარაკისი (78), სტრუვაი – 17. ფრანკო (86)

გაფრთხილება: ა. მოკოენა (3), ისა (8), კასერესი (34), მაკკარტი (37), ზუმა (45), კანისა (64), ტავარელი (90), ფრანკო (90)

მსაჯები: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი); იგორ შრამკა (სლოვაკეთი), კერტის ჩარლზი (ანტიგუა და ბარბუდა)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 12 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 0 |



REUTERS

ტებოჰო მოკოენამ პარაგვაელების ავტოგოლით გაიხარა

# ბევრი ერთისთვის დრო მიდიოდა, ზუმა მოდიოდა

ვაჟა ხუციშვილი

**70 წლის** ჩეზარე მალდინი კუთვნილ სკამზე ჩამოჯდომას აპირებდა, მაგრამ უეცრად წამოფრინდა. მან, ისევე როგორც პარაგვაელ სათადარიგოთა უმეტესობამ, სანტა კრუზის საპენალტედ წაქცევა დაინახა. ეს მაშინ მოხდა, როცა ლუბოშ მიხელმა დაწყებისა ჩასტვინა და სასტვენი ჯერაც ტუჩებში უჟართხალებდა.

ვინ დასცა „ბაიერნის" ფორვარდი? — აფრიკელთა მეკარე ანდრე არენდსემ. სანტა კრუზმა სიღრმიდან პასი მიიღო, უკვე გაშხლართულ მეკარეს გასცდა, რომელმაც ხელები ფეხებში წაუფათურა და პარაგვაელმაც მსაჯს გახედა. სლოვაკი არბიტრი მალდინის გვერდით რომ მდგარიყო, ეგებ დაენიშნა კიდეც თერთმეტმეტრიანი, თუმცა თავისი სადგომიდან წესების დარღვევა ვერ შენიშნა.

ამ ეპიზოდმა ჩაიარა და სამხრეთ აფრიკულ-ამერიკული ფეხბურთი გახურდა. მალდინი სანტა კრუზის, იომო სონო კი სიბუსისო ზუმას იმედზე იყო. ეს ორი ფეხბურთელი სხვებზე მეტად ჩანდნენ თავისი ამპლუების გამო. პარაგვაელთა იტალიელი თავკაცი ძველ საქმეებს არ ღალატობს. ერთი კაცი წინ და ბევრი პასი მისკენ. ბაიერნელმა პირველ ტაიმში ბლომად პასებიც მიიღო, თან ორ-სამ მცველთან ჯაჯგურში. ხიფათიც სანტა კრუზისგან იწყებოდა. დროულად ვერდახმარების გამო, ფორვარდის გარჯა უმეტესად არ ფასდებოდა. მის მიერ რამდენჯერმე კარის წინ ჩაწოდებულ ბურთის პატრონი არ გამოუჩნდა. აი, ფლანგებიდან ჩაკიდებულ ბურთებს კი წკეპლასავით თავს, თვითონ სანტა კრუზი ურტყამდა.

ტაიმის მიწურულს აფრიკელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. ფრანსისკო არსეს პასმა ბაიერნელი მეგოლის თავს ზუსტად მიაგნო და ჩეზარე მალდინი ჩილავერტს, ორივენი ერთად კი დანარჩენებს გადაეხვივნენ. მალე ფორვარდს კიდევ ჰქონდა კარგი მომენტი, თუმცა არენდსემ არ დაანება.

პარაგვაელები მეტოქის ბლაგვ შეტევებს იტალიური მონდომებით უმკლავდებოდნენ. „ბაფანა-ბაფანა" დიდად მახვილგონიერული იერიშებით არ გამოირჩეოდა. ტებოჰო მოკოენამ და მაკბეტ სიბაიამ თითოჯერ დაარტყეს მეტოქის კარისკენ, მაგრამ ბურთი ჩარჩოში ვერ მოარტყეს. ტაიმის ბოლო წუთზე სიბუსისო ზუმამ მაინც მოიხელთა ბურთი ტავარელის ბაქანში, ვარდნით დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ნახევარი ათიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა ფრანსისკო არსემ მწვრთნელ-სათადარიგონი კიდევ ერთხელ წამოყარა სკამებიდან. მის მიერ შესრულებული საჯარიმო უნაკლო და არენდსესთვის აუღებელი გამოდგა. გოლის აღსანიშნავი ზეიმი გვერდით ხაზთან გაიმართა, სადაც არსე ჩეზარეს ჩაეკონა.

სამხრეთაფრიკელებმა იომო სონოს აჩვენეს, რომ შეუძლიათ იომონ. ისინი მეთოდურად მიიწევდნენ და მიიჩქაროდნენ მეტოქის ნახევარს. ზუმამ მარჯვნივ გაიწია, სადაც პასებით ამარაგებდნენ თანაგუნდელები. თმაშეღებილმა ფორვარდმა საკმაოდ იაქტიურა, ხოლო პარაგვაელები ნელ-ნელა აირივნენ. არადა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ „ბაფანა-ბაფანამ" ისინი გირაგში მოამწყვდია და მოხრჩობა დაუპირა. ერთი კი აღსანიშნავია, მალდინის ბიჭები რატომღაც საჯარიმოში გროვდებოდნენ, თანაც ბურთს უმისამართოდ იგერიებდნენ, შეტევაზე კი საერთოდ აღარ ფიქრობდნენ. შედეგად აფრიკელებმა კარში დარტყმებს უმატეს, რასაც მოჰყვა გოლი. ბენი მაკკარტიმ დაჰკრა და ორ მცველზე შეხებით ბურთი ტავარელის კარში შეგორდა.

აქ ხოსე ლუის ჩილავერტი აუცილებლად უნდა ვახსენოთ. ის რომ თანაგუნდელებს შეუცაცხანებს, სულ სხვაა. პარაგვაელები მოეშვნენ და ბურთიც მათი საჯარიმოს თავზე დაჰქროდა, ოღონდ კარში კი არ შედიოდა.

ბოლო წუთი იყო დაწყებული, როცა მატჩის პირველი წუთი განმეორდა. ამჯერად სამხრეთამერიკელთა საჯარიმოში. სიბუსისო ზუმამ კარგად მიიღო ბურთი და მის ფეხებში ჩავარდნილ ტავარელისაც უნდა გასცდენოდა. მერე თითქმის იგივე მოხდა, რაც სანტა კრუზის შემთხვევაში. მეკარის ხელებს ზუმას ფეხები შეეხო და ფორვარდიც გაიშხლართა. ლუბოშ მიხელი ამ მომენტს უკან ისე მისდევდა, გეგონებოდათ პენალტი იყნოსაო. წაიქცა აფრიკელი და მსაჯმაც ნიშნულისკენ მიუთითა.

ბურთთან კვინტონ ფორჩუნი მივიდა, რომელიღაც პარაგვაელს გაულიმა კიდეც და გაათანაბრა.



REUTERS

ანდრე არენდსე ორჯერ უძლური იყო

## მატჩის შემდეგ

### იომო სონო
სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი

კარგად ვიცოდით, რომ პარაგვაის ასაკოვანი მცველები ჰყავს და ისინი თამაშის ბოლოს დაიღლებოდნენ. ასეც მოხდა. მივაწექით, მივაწექით და მიზანსაც მივაღწიეთ. რომ წაგვეგო, ჩვენი გეგმები წყალში ჩაიყრებოდა. ისე კარგი გრძნობაა, ორბურთიან ჩამორჩენას რომ ამოქაჩავ.

### ჩეზარე მალდინი
პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი

შედეგით განაწყენებული სულაც არ ვარ. თუმცა ერთ მომენტში დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატზე კიდევ უამრავი სიურპრიზი იქნება. არც ის მგონია, რომ ხოსე ლუის ჩილავერტის არყოფნამ დიდი გავლენა იქონია მატჩის შედეგზე.

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** როკე სანტა კრუზი მეკარესთან პირისპირ გადის. ანდრე არენდსემ ის წააქცია, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნა არ ინება.

**მე-4 წუთი:** მაკბეტ სიბაიას 35 მეტრიდან გასროლილი ოდნავ ასცდა კარს.

**მე-10 წუთი:** ფრანსისკო არსეს სახიფათო საჯარიმო მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**მე-19 წუთი:** როკე სანტა კრუზს კიდევ ერთი რეალური შანსი მიეცა, თუმც ლუკას რადებემ დაასწრო.

**21-ე წუთი:** ტებოჰო მოკოენას დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**32-ე წუთი:** როკე სანტა კრუზის სახიფათო თავური ანდრე არენდსემ გააუვნებლა.

**39-ე წუთი:** საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს როკე სანტა კრუზმა ნახტომში თავი შეაგება და ოთხიოდ მეტრიდან გაიტანა გოლი.

**42-ე წუთი:** როკე სანტა კრუზის სახიფათო თავური მეკარემ ცხრიანიდან მოხსნა.

**46-ე წუთი:** საბუსისო ზუმას ურთულესი დარტყმა რიკარდო ტავარელიმ გააუვნებლა.

**48-ე წუთი:** კარლოს გამარას გასროლილი ოდნავ არაზუსტი იყო.

**52-ე წუთი:** სიბუსისო ზუმას კვლავ არ გაუმართლა. მისი დარტყმული ზემოდან გადასცდა კარს.

**55-ე წუთი:** ფრანსისკო არსემ 22 მეტრიდან ულამაზესი საჯარიმო გაიტანა.

**62-ე წუთი:** ბენი მაკკარტის დარტყმული ესტანისლაო სტრუვაის მოხვდა და... კარში აღმოჩნდა.

**85-ე წუთი:** მაკბეტ სიბაია არაზუსტად ურტყამს.

**90-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილი სიბუსისო ზუმა მეკარემ წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა — კვინტონ ფორჩუნმა უნაკლოდ დაარტყა.

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ს. აფრიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## პარაგვაი VS ს. აფრიკა

| პარაგვაი | | ს. აფრიკა |
|---|---|---|
| ხოსე ლუის ჩილავერტი (194 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | პანს ვონკი (196 სმ) |
| დიეგო გავილანი (172 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ტაბო მნგომენი (169 სმ) |
| ხოსე ლუის ჩილავერტი (89 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | პიერ ისა (85 კგ)<br>ლუკას რადებე (85 კგ) |
| დიეგო გავილანი (67 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ტაბო მნგომენი (63 კგ) |
| ხოსე ლუის ჩილავერტი (8 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ბენი მაკკარტი (17 გოლი) |
| ესტანისლაო სტრუვაი (70) | ყველაზე მეტი თამაში | ლუკას რადებე (66) |
| 178.7 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 180.8 სმ |
| 76.21 კგ | საშუალო წონა | 74.39 კგ |
| 28.20 | საშუალო ასაკი | 26.77 |
| ნელსონ კუევასი (22 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | აარონ მოკოენა (21 წლის)<br>იაბუ პულე (21 წლის) |
| ესტანისლაო სტრუვაი (33 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ანდრე არენდსე (34 წლის) |

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. I ტური

# №10 ბრაზილია 2:1 თურქეთი

3 ივნისი. ულსანი (კორეა). 14.00 „ულსან მუნსუ სთადიუმ". 33 842 მაყურებელი

**0:1 ჰასან შაში (45), 1:1 რონალდო (50), 2:1 რივალდო (87პ)**

მწვრთნელი
ლუიშ ფელიპე სკოლარი

1 მარკოსი

3 ლუსიო — 4 როკე ჟუნიორი — 5 ედმილსონი

8 ჟილბერტო სილვა — 19 ჟუნინიო

2 კაფუ — 6 რობერტო კარლოსი

10 რივალდო

9 რონალდო — 11 რონალდინიო

9 ჰ. შუქური

11 ჰასან შაში — 10 ბაშთურქი

20 ჰ. უნსალი

21 ემრე ბელოზოღლუ

8 თუგაი

3 ბიულენთი — 16 უმით ოზატი — 4 ფათიჰი

5 ალფაი

1 რუშთუ

მწვრთნელი
შენოლ გიუნეში

შეცვლა: ბაშთურქი – 22. დავალა უმითი (66), ბიულენთი – 17. ილჰანი (66), რონალდინიო – 17. დენილსონი (67), ჟუნინიო – 18. ვამპეტა (72), რონალდო – 21. ლუიზაო (73), თუგაი – 6. არიფი (88)

გაფრთხილება: ფათიჰი (21), უნსალი (24), ალფაი (44), უნსალი (90)

გაძევება: ალფაი (86), უნსალი (90)

მსაჯები: იონგ-იოო კიმი (ს. კორეა); ვისვა კრიშნანი (სინგაპური), ვლადიმირ ფერნანდესი (სალვადორი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 21 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 19 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 1 |



ჰასან შაშის გოლმა თურქეთს სენსაციის იმედი მისცა

REUTERS

# კატლეტი, კატლეტი!
## ბრალი ედება მკვლელობაში

**ვაჟა ხუციშვილი**

**მატჩამდე** რობერტო კარლოსი იქადნებოდა, ყველა ჯგუფურ თამაშს ჩვენი შესაძლებლობის 40 პროცენტით მოვიგებთო. ორმოცი კი არა, რატომ ორასი პროცენტის დახარჯვა არ დასჭირდათ თურქეთის დასამარცხებლად. ამას დავუმატოთ კორეელი მსაჯის მიერ საეჭვო თერთმეტმეტრიანი და გასაგები, რად დაუჯდათ ტეტრაკამპეონებს პირველი სამი ქულა.

თუმც ობიექტურად ყველაფერი ალფაი ოზალანისა და მისი თანაგუნდელების ბრალია. შეცდომა რომ არ დაეშვათ, არც ლუიზაო გაექცეოდათ და არც სადავო ეპიზოდი შეიქმნებოდა. ფაქტია, ალფაი მეტოქეს მაისურაზე ჩამოეკიდა, იმანაც საჯარიმოში შეთრია მცველი და იქ წაიქცა. თვალდაუწრო მსაჯმა საპენალტედ გასაჯა, რასაც წითელი ბარათით ალფაიც გადაყოლა. ასე იყო თუ ისე, რივალდომ გაიტანა და „დიდი ფილიც" სრულიად ბრაზილიის მორიგ რისხვას გადაარჩინა.

ეს ამბავი მატჩის დასალიერს მოხდა, თავიდან კი თურქებმა ერთგვარი შიშით თუ სიფრთხილით დაიწყეს თამაში. სამხრეთამერიკელებმა დებიუტშივე მოინდომეს მეტოქის დაჩაგვრა. მათგან პსჟ-ელ რონალდინიოს და ჟუნინიოს მიეცათ შანსები, თუმცა უპეებშელებილი რუშთუ კარში ძალიან ფხიზლად იდგა.

ოციოდ წუთში ოსმალონიც მოეგნენ გონს, რომელთაგანაც სხვებზე უფრო თავპრიალა ჰასან შაში გამოირჩეოდა. ის გამუდმებით აწუხებდა მცველებს და სახიფათო ჯარიმასაც გამოპკრა ხელი. თურქებმა საჯარიმო ცოტა უცნაურად კი შეასრულეს, თუმც თუგაის დარტყმული ბრაზილიელის ფეხმა აისხლიტა და მარკოსს ოსტატობის ჩვენება მოუხდა. მალე ისევ თუგაიმ სდრუზა შორიდან — ოდნავ არაზუსტად.

თურქთა გაელვებას რივალდოს ნაპერწკალიც მოჰყვა. რუშთუმ ბარსელონელს ხელიზედ ორჯერ არ დანება გატანა.

ერთხელ რონალდოც დაუსხლტა მცველებს და ალფაიმ მაისურით დაამუხრუჭა. დაინიშნა ჯარიმა. ბურთთან რობერტო კარლოსი გაჩნდა, გაისროლა კიდეც ჩვეულად, ჯიგრიანად, მაგრამ უპეებშელებილმა მოიგერია.

ტაიმი იწურებოდა, ბაშთურქმა მეტოქის საჯარიმოსთან ბურთი რომ მოიხელთა. მცველს უკან გაჭრილ შაშს გამოზომილად ჩააწოდა, შაშის გასროლილი კი უნაკლო გამოდგა. გოლიც გავიდა და მსაჯმაც ჩასტვინა — შევისვენოთო.

აღსანიშნავია, რომ თავისი რიტმით პირველი ნახევარი მანამდე გამართულ მატჩებს შორის გამორჩეული იყო. საინტერესო გახლდათ ჰასან შაშის რეაქციაც გატანილი გოლის შემდეგ. უფრო სწორად, მის საქციელს ურეაქციობა უფრო ეთქმის. მშვიდად, წყნარად, არანაირი მაისურის წამოფარებით, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო.

ანტრაქტიდან დაბრუნებულმა ბრაზილიელებმა მეტოქეს თვალის წესიერად გახელა არ აცალეს, გაგულისებულნი ეკვეთნენ. ბურთის თრევა არ დაიწყეს და მოკლე გზებით შეუტიეს.

შეუტიეს და გაათანაბრეს კიდეც — რონალდოს უცნაურ ვარდნაში დარტყმულს უპეებშელებილმა ვერაფერი მოუხერხა.

ამის შემდეგ ოსმალოთა მეკარემ რონალდოს, რივალდოსა და ჟუნინიოს კიდევ აუღო, ლუსიოს კი ბაქანზე ააცალა ბურთი.

თურქებს შეხვედრის მილეულს დაღლა დაეტყოთ. უკან დროულად დაბრუნებას ველარ ასწრებდნენ. არც შეტევაში გამოსდიოდათ რამე. შენოლ გიუნეშმა ორი ახალი მოთამაშე შეუშვა მოედანზე, რომელთაგან ერთი კარგადაც გაისარჯა — „ბეშიქთაშის" ამომავალმა ვარსკვლავმა (თურქებს ასე მიაჩნიათ) ილჰან მანსიზმა გვერდით ხაზთან უნაკლოდ შეასრულა ფინტი, ისეთი, დიდი ხანია, რომ არ გვინახავს და თავად ბრაზილიელებსაც რომ შეშურდებოდათ.

შენოლ გიუნეშის მთავარი პრობლემა მეგოლეა. ჰაქან შუქურის რქები ძველებურად ველარ ხნავს. ამ მატჩში მას ღირებული საერთოდ არაფერი გაუკეთებია.

ლუიშ ფელიპე სკოლარისაც სიფრთხილე მართებდა. რონალდოსა და ჟუნინიოს გაყვანის შემდეგ ხომ ოსმალელებმა ერთხანს იძალეს კიდეც, მაგრამ „დიდ ფილს" ლუიზაომ გაუმართლა.

ბოლო წუთზე რივალდოს საქციელი, ისევე როგორც ჰაქან უნსალისა, ყვითელ ბარათს იმსახურებდა. პირველი სპორტული აფერისტობისთვის, მეორე კი არასპორტული ქცევისთვის. კორეელმა მსაჯმა ეს საკითხი წითელ ფერში გადაწყვიტა, წითელმაისურიანის საზიანოდ.

ნამატჩევს შენოლ გიუნეშმა ბრძანა, მსაჯმა პენალტით თამაში კატლეტად აქციაო. კატლეტი თურქულად მოკვლას ნიშნავს.

## მატჩის შემდეგ

**შენოლ გიუნეში**
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

ეს უსამართლობაა, დიდი უსამართლობა. ანგარიში არ ასახავს რეალობას, წაგებას არ ვიმსახურებდით. მსაჯმა მიუტევებელი შეცდომები დაუშვა, რამაც ყველაფერი ყირაზე დააყენა.

პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებს რამდენიმე საგოლე მომენტი ვაჩუქეთ. მეორეში კი უკეთ ავთამაშდით, თუმც ორი უაზრო გოლი მივიღეთ.

დაკარგული არაფერია, წინ ორი მატჩი გვაქვს, რომლებშიც ექვსი ქულის მოპოვებას ვგეგმავთ.

**ლუიშ ფილიპე სკოლარი**
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

დარწმუნებული ვარ, ბრაზილიაში უზომოდ გაუხარდათ ჩვენი გამარჯვება და კმაყოფილნიც არიან. ეს კი მომავალი მატჩებისთვის დიდი სტიმული იქნება.

## სტენოგრამა

**მე-8 წუთი:** რონალდინიომ რუშთუს შეცდომით ვერ ისარგებლა. მისი დარტყმული კარს ასცდა.

**მე-19 წუთი:** ჰასან შაშის სახიფათო გადაცემას ჰაქან შუქურმა ვერ მიუსწრო.

**მე-20 წუთი:** თუგაის დარტყმული მცველს მოხვდა და ოდნავ ასცდა ბრაზილიელთა კარს.

**30-ე წუთი:** რონალდინიო-რივალდო-რონალდოს კომბინაცია ჟუნინიომ არაზუსტი დარტყმით დაასრულა.

**37-ე წუთი:** თუგაის ძლიერ დარტყმულს მარკოსი გაუმკლავდა.

**39-ე წუთი:** რონალდომ თავზე დაასვა ბურთი რივალდოს, რომელმაც მეკარის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით კი დაჰკრა, მაგრამ რუშთუმ მაინც იმარჯვა და ურთულესი ბურთი მოიგერია.

**43-ე წუთი:** რივალდოს შორეულ დარტყმას კვლავ რუშთუ აღუდგა წინ.

**45-ე წუთი:** რონალდინიომ ლამაზი ფინტით ჩამოიშორა მცველი და მეკარესთან პირისპირ გავიდა, კვლავ რუშთუმ იყოჩაღა.

**45-ე წუთი:** თურქებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. ილდირაი ბაშთურქის უზუსტესი პასი ჰასან შაშმა ბრწყინვალე დარტყმით გოლად აქცია.

**47-ე წუთი:** რონალდოს 20 მეტრიდან დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**50-ე წუთი:** რივალდომ რონალდოს ჩაუწოდა და მანაც ნახტომში ფეხით დალაშქრა თურქთა კარი.

**55-ე წუთი:** რონალდომ რამდენიმე მცველი მოატყუა და კარშიც დაარტყა. რუშთუმ რთული ბურთი აიღო.

**59-ე წუთი:** ჰაქან უნსალის დარტყმული მარკოსმა გააუვნებლა.

**მე-60 წუთი:** თურქთა საჯარიმოში არეულობით ლუსიომ ისარგებლა, თუმც რუშთუ ამჯერადაც დაეუფლა ბურთს.

**62-ე წუთი:** ჟუნინიოს გასროლილს მეკარე გაუმკლავდა.

**75-ე წუთი:** რივალდოს დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**81-ე წუთი:** რობერტო კარლოსმა ზედიზედ ორჯერ გაისროლა მეტოქის კარისკენ, თუმც მიზანს ვერ მიუწია.

**87-ე წუთი:** ალფაიმ ლუიზაო მაისურით დაიჭირა და მსაჯმა პენალტი დანიშნა. ალფაის ბოლო იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათი აუფრიალეს. პენალტი კი რივალდომ ზუსტად დაარტყა.

**90-ე წუთი:** რივალდოს სპორტულმა აფერისტობამ ჰაქან უნსალიც ალფაის გზას გაუყენა.

## ბრაზილია VS თურქეთი

| ბრაზილია | | თურქეთი |
|---|---|---|
| ნელსონ დიდა (195 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | ჰაქან შუქური (191 სმ) |
| ჟუნიორი (170 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ილდირაი ბაშთურქი (168 სმ) |
| მარკოსი (86 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | უმით ოზატი (89 კგ) |
| კლებერსონი (64 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ერგუნ პენბე (64 კგ) |
| რონალდო (37 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ჰაქან შუქური (35 გოლი) |
| კაფუ (104) | ყველაზე მეტი თამაში | აბდულა ერკანი (69) |
| 181.1 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 179.5 სმ |
| 74.43 კგ | საშუალო წონა | 74.26 კგ |
| 24.7 | საშუალო ასაკი | 27.7 |
| კლებერსონი (22 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ემრე ბელოზოღლუ (21 წლის) |
| კაფუ (31 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ბიულენთ ქორქმაზი (33 წლის) |

# კორეა-იაპონია 2002
## E ჯგუფი. I ტური
## №2 ირლანდია 1:1 კამერუნი

1 ივნისი, ნიიგატა (იაპონია). 11.30 „სთადიუმ ბიგ სვან". 33 679 მაყურებელი

0:1 მბომა (39), 1:1 ჰოლანდი (52)




შეცვლა: მაკატირი – 2. ფინანი (46), მბომა – 18. სუფო (69), ჰარტი – 21. რიდი (78)

გაფრთხილება: მაკატირი (30), ფინანი (51), რიდი (82), კალა (89)

მსაჯები: ტორუ კამიკავა (იაპონია); მატ ლაზიმ ავანგ ჰამატი (მალაიზია), როლან ვან ნილენი (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| 9 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 8 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 1 |




პიერ ვომემ (№3) და ჯეისონ მაკატირმა თავი ბურთს დაჰკრეს

# ეს ხომ ნანახი გვაქვს
## ქვეყლანდია ახალი დაფით




რობი კინმა (№10), ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთაო

**სოლომონ გულისაშვილი**

**ვინი შეფერი**, ვინც კამერუნელთა მწვრთნელად შარშან სექტემბერში დანიშნეს, თავის ფეხბურთელებს იმხანად ტაქტიკურ განსწავლულობასა და დისციპლინას უწუნებდა. გავიდა დრო და შეფერის გუნდი უფრო დაწყობილი გახდა: ახლა მეტად ორგანიზებულები ვართ, ნიჭიერი მოთამაშეებიც არ გვაკლია და მსოფლიოს ჩემპიონატს იმედიანად ვხვდებითო, თქვა შეფერმა ირლანდიასთან მატჩის წინ.

კამერუნს მართლაც ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს. როცა შემადგენლობას გადახედავ, იფიქრებ, ამათ წინ რა დაუდგებაო, მაგრამ ბოლოდროინდელი წინსვლის მიუხედავად, ის მთავარი მაინც აკლდათ, კლასი და თანმიმდევრულობა რომ ჰქვია.

აი, ირლანდიასთანაც, პირველ ტაიმში დიდებულად ითამაშეს, ბურთსაც აკონტროლებდნენ, ლამაზ ილეთებსაც ასრულებდნენ და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში უცებ მოიშალნენ, სადავეები სადღაც დაკარგეს, თითქოს დაიღალნენ კიდეც და ბედს უნდა უმადლოდნენ, მოედანი დამარცხებულებმა რომ არ დატოვეს.

თანმიმდევრულობა ვახსენეთ და ეს არა მარტო კამერუნელების, მთლიანად აფრიკელთა სენია — ალალი ფეხბურთი ერთია და კონკრეტულ მატჩში რომ ძალებს ვერ გათვლი, სხვა. თუმცა, ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო, ეგებ პირველი აიწონა-დაიწონა გაკვეთილადაც გამოადგეთ.

ზოგადად შეხვედრა სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ, თავიდან ორივე გუნდი ფრთხილობდა და ისეთი თამაში იყო, მავანს ჩაეძინებოდა კიდეც. მერე კამერუნელებმა იძალეს, შესვენების შემდეგ კი ირლანდიელებმა მოწინააღმდეგე წელში გაწყვიტეს.

კამერუნელებმა, რომლებსაც უსახელო მაისურებს ქვეშ რაღაც შავი ბადისებრი სამხრეები ეკეთათ, პირველი სახიფათო მომენტი დაახლოებით ტაიმის შუაში შექმნეს, პატრიკ მბომამ სამუელ ეტოო მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ შეი გივენმა იმარჯვა. ამას რობი კინის თავური ჩხვლეტა მოჰყვა, მერე კი აფრიკელებმა გაილაღეს, რამდენიმე ეფექტური და დასამახსოვრებელი კომბინაცია გაითამაშეს და ისეთი ჟინით იბრძოდნენ, რომ ერთხელ, დემიენ დაფთან შებმისას ბილ ჩატომ და რაიმონ კალამ ჰაერში ერთმანეთს თავები დაჰკრეს და სისხლიც დაღვარეს.

კამერუნელთა გოლიც ლოგიკური იყო. ეტოომ საჯარიმოში სტივ სტონტონი მოატყუა, მბომას დაუგორა და ამანაც ცაციათი შეაგდო. შეფერი სიხარულისგან კინაღამ გადაირია და ცოტა' დააკლდა ნაღდი კამერუნელივით გავის ქნევით აცეკვებულიყო.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ყველაფერი თავდაყირა დადგა, ირლანდია აფრიკელთა ტერიტორიას შემოეჯარა და თამაშის ბოლომდე უკან აღარც დაუხევია. დაუწერელმა საფეხბურთო კანონმაც იკანონა — 52-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოსთან რეალელმა ჯერემი ნჯიტაპმა მცველს ბურთი მოჰპარა, მეკარესთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ ახლოდან უზუსტოდ დაარტყა და... კამერუნმა გოლი საკუთარ კარში მიიღო. ირლანდიელებმა სწრაფად შეუტიეს და იფსვიჩელმა მეტ ჰოლანდმა დაახლოებით 23 მეტრიდან ძლიერი, დაბალი დარტყმით შეაგდო. მერე მაკარტის ბიჭებს კიდევ რამდენჯერმე მართებდათ თავის გამოჩენა, რობი კინმა ძელსაც კი გაარტყა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ახლა ირლანდიაზეც ვთქვათ, სხვა თუ არაფერი, საქართველოს ნაკრების მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ციკლში.

პირველი და უკვე ყბადაღებული კითხვა ის იყო, როგორ ითამაშებდნენ მოკვეთილი კაპიტნის, როი კინის გარეშე? ითამაშეს და უკინობა დიდად არც დატყობიათ, თუმცა ახალიც არაფერი უჩვენებიათ, გუნდური შემართება და ბრძოლისუნარიანობა ხომ ისედაც ჰქონდათ. უცქერ და გგონია, რომ ეს თამაში უკვე ნანახი გაქვს, ასე იყო ათი-თორმეტი წლის წინაც, ასეა ახლაც. მაკარტი კი ტყუილად არ აქებდა ბლექბერნელ დემიენ დაფს, ის და რობი კინი მართლაც გამორჩეული ფეხბურთელები არიან. აი, ახალგაკაპიტნებული სტივ სტონტონი კი მოიკოჭლებს. ყოველ შემთხვევაში, კამერუნთან ასე გამოჩნდა. მან რამდენიმე თვალშისაცემი შეცდომა დაუშვა, თუმცა ეს ეტოოს დამსახურებაც გახლდათ, მალიორკელმა თავდამსხმელმა სისხლი გაუშრო ვეტერან ასტონვილელს, გოლის ეპიზოდში ხომ საერთოდაც მასხრად აიგდო, მოტყუებული სტონტონი ისე გასრიალდა, კინაღამ კარსუკანა სარეკლამო დაფა დაამტვრია...

1990-ში ირლანდია პირველად მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ჯგუფიდან სამი ფრით გააღწია, ოთხი წლის შემდეგ სამივე თანაჯგუფელთან ერთად თანაბარი ქულები მოაგროვა და მერვედფინალში ბურთების უკეთესი სხვაობით გაძვრა.

ისეთი პირი უჩანს, წლეულსაც რაღაც ამდაგვარი მოხდება. აკი ვთქვით, ეს თამაში ნანახი გვაქვსო...

## მატჩის შემდეგ

**მიკ მაკარტი**

*ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი*

პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ინდივიდუალურადაც და გუნდურადაც. მცველები იოლად ანებებდნენ ბურთს კამერუნელთა ფორვარდებს და ტაიმის მიწურულს პატრიკ მბომას გატანილი გოლი ლოგიკური იყო. შესვენებაზე ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და თამაშიც გამოვასწორეთ. პირველ ნახევარშიც რომ ისე გვეთამაშა, როგორც მეორეში — აუცილებლად მოვიგებდით.

ჰოლანდი მატჩის გმირია, თუმც კინსელას დაცვით თამაშსაც გამოვარჩევ, ეს დუეტი შესანიშნავი იყო. მათი შემხედვარე არ ვნანობ, როი კინი რომ დავითხოვე.

**ვინი შეფერი**

*კამერუნის ნაკრების მწვრთნელი*

ვფიქრობ, ანგარიში ორივე გუნდს აწყობს, ეს შედეგი ხომ ლოგიკური იყო. კმაყოფილი ვარ პირველი ტაიმით, თუმც მეორეზე ამას ვერ ვიტყვი. ანგარიში 2:0 გახდებოდა, ჯერემის ბოძებული შანსი რომ გამოეყენებინა, მაგრამ არ გაუმართლა და წამებში ჰოლანდის შორიდან დარტყმული გავუშვით.

ვერმოგებამ ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა ჩვენზე და ახლა საუდის არაბეთთან სათამაშოდ დიდი მობილიზება გვესაჭიროება.

## სტენოგრამა

**მე-17 წუთი:** რობი კინის შორეული დარტყმული ბუკარ ალიუმიმ გაჭირვებით მოიგერია.

**მე-18 წუთი:** სამუელ ეტოოს მოკლე პასით პატრიკ მბომა მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმც შეი გივენმა იყოჩაღა.

**21-ე წუთი:** ჯეისონ მაკატირის ჩაწოდებულს რობი კინი გამოეხმაურა, მისი დარტყმული კარს ოდნავ აცდა.

**29-ე წუთი:** იან ჰარტის კუთხურიდან ჩაწოდებულს მეტ ჰოლანდის თავური მოჰყვა. ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

**32-ე წუთი:** საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა სამუელ ეტოომ მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა.

**35-ე წუთი:** მარკ-ვივიენ ფოეს ძლიერად დარტყმული ოდნავ ასცდა შეი გივენის კარს.

**38-ე წუთი:** ჯერემმა ქუსლით ეშმაკურად დაუგორა მარკ-ვივიენ ფოეს, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა. რიგობერტ სონგს მცველებმა დაასწრეს და კუთხურზე გადააგდეს ბურთი.

**მე-39 წუთი:** საჯარიმოში შესულმა სამუელ ეტოომ სტივ სტონტონი მასხრად აიგდო და კარის წინ მყოფ პატრიკ მბომმას დაუგორა, კამერუნელს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

**44-ე წუთი:** იან ჰარტის კუთხურიდან ჩაწოდებული რიგობერტ სონგმა კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა — მეკარემ იმარჯვა.

**51-ე წუთი:** ჯერემიმ ჯეისონ მაკატირს ბურთი მოჰპარა და საჯარიმოსთან მიახლოებულმა ძლიერად გაისროლა, მაგრამ ააცილა.

**52-ე წუთი:** მცველის მოგერიებულ ბურთს მეტ ჰოლანდი დაეუფლა და ოციოდ მეტრიდან უზუსტესი დარტყმით შანსი არ დაუტოვა კამერუნელთა მეკარეს.

**64-ე წუთი:** რობი კინის სახიფათო თავური ბუკარ ალიუმიმ კარის ხაზზე გააქვავა.

**67-ე წუთი:** სამუელ ეტოო მცველებს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

**73-ე წუთი:** ჯერემიმ კუთხური ჩააწოდა. პატრიკ სუფოს დარტყმული კი მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს.

**84-ე წუთი:** რობი კინის უძლიერესი დარტყმული კარის მარცხენა ძელს მოხვდა.

**90-ე წუთი:** სტივენ რიდის 22 მეტრიდან გასროლილი მეკარემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.



მიროსლავ კლოზემ სამჯერ მოლაყე გაჭიმა

# აბა, თქვი რვა!

## ალ-ალ და ალალად ნარქენი არაბები

დავით თავართქილაძე

**ჩაჩანაკი** გუნდი გამოდგა საუდის არაბეთის ეროვნული ნაკრები, კარგა ხანია, ასეთი სუსტი მონაწილე არ ჰყოლია მუნდიალს. თუმც იქნებ მომდევნო ორ შეხვედრაში აზიელებმა გაიბრძოლონ კამერუნის და ირლანდიის წინააღმდეგ, რაც ტურნირის მორიგ სენსაციად გამოდგება.

რუდი ფიოლერის გერმანიამ შმაგად უმტვრია კლიტეებ საუდელთა დაცვას და არაბთა კარიც რვაჯერ დაცხრილა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფიოლერმა თავდასხმაში კარსტენ იანკერისა და მიროსლავ კლოზეს წყვილი გაამწესა. მწვრთნელი რომ მოთამაშეს ჯიუტად ენდობა, იშვიათია და საამისო მაგალითს იანკერის კორეა-იაპონიაში წაყვანა და მისი სასტარტო შემადგენლობაში შეყვანა გახლავთ.

მეჰმეთ შოლისა და სებასტიან დაისლერის არყოფნას ფიოლერმა ექსპერიმენტი დაუპირისპირა — ლევერკუზენელ ბერნდ შნაიდერს, ფაქტობრივად, პლეიმეიკერობა დააკისრა. შნაიდერი ტიპიური მარჯვენაფლანგელია, ხოლო ნაკრებში ახლა მას ხაზის გასწვრივ სირბილი კი არა, მარჯვნიდან შეტევის ორგანიზება ევალება.

შეიძლება ითქვას, რომ ფიოლერმა ორი გამთამაშებლით ათამაშა გუნდი — მიხაელ ბალაკი ხომ აბობოქრებულ გერმანელთა შეტევების დამლაგებელი და წარმმართველი გახლდათ.



ნასერ ალ-ჯოჰარი მოედანს თვალს ვერ უსწორებდა

ცხადია, უნდა ითქვას მიროსლავ კლოზეზე. ეს 24 წლის ლაუტერნელი მუნდიალის პირველი ჰეთ თრიქით ბომბარდირთა სიაშიც დაწინაურდა და დღესდღეობით გერმანიის ნაკრების ნომერ პირველი ფორვარდიცაა. მისი სისწრაფე, აგრესიულობა, თავით უზადო თამაში და სიზუსტე რუდი ფიოლერის ფეხბურთელობას ჯერ არ გვაგონებს, მაგრამ გერმანული ფეხბურთის ქომაგთ დიდ იმედს კი აძლევს — ვინძლო ნაციონალმანშაფტს სუპერფორვარდი გამოუჩნდეს.

და მხცოვანი მეგოლე ოლივერ ბირჰოფი — მან უმეტესწილად გამოცდილების და თანდაყოლილი ალღოს წყალობით, ისეთი გოლი გაუტანა მოჰამედ ალ-დეაიას, რომელიც მხოლოდ ნამდვილ ოსტატებს გამოსდით.

ტრადიციულად სწორხაზოვნად, მაგრამ ნაყოფიერად ირჯებოდა კრისტიან ციგე. გადახოტრილ თავზე თმის ზოლი ქერა დაბოლოებით, კრისტიანს ქრისტიანულ იერს ნაკლებად თუ სძენს და ციგემაც ყვითელი ბარათი ძალით გამოსტყუა მსაჯს.

გერმანელთა დაუნდობელ თამაშს მომდევნო მატჩებშიც სწორედ ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები განაპირობებენ. თუმც არც იენს იერემისი, მარკო ბოდე და ოლივერ ნოივილი უნდა დაგვავიწყდეს — გაცილებით ძლიერ გუნდებთან ფიოლერი უეჭველად სხვა ტაქტიკურ-სტრატეგიულ მოდელს დაეყრდნობა, ირწმუნებიან გერმანელი სპეციალისტები თუ მიმომხილველები.

გერმანელთა სიძლიერის კატალიზატორად საუდის არაბეთი ნაღდად ვერ გამოდგება, მაგრამ ის კი ცხადზე ცხადია, რომ ფიოლერის ნაკრები ერიხ რიბეკის შარშანწინდელზე უკეთესია.

ერთიცაა, რვა გოლიდან გერმანელებმა ხუთი თავურით გაიტანეს. ფიოლერის ბიჭები ცაში მაშხალებივით ეკიდებიან და ბურთებსაც გამეტებით ურტყამენ.



ბუნდესკანცლერმა გერჰარდ შროიდერმა ალალად გაიხარა

### სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** კარსტენ იანკერის საზიფათო დარტყმა კარს ასცდა.

**მე-7 წუთი:** კრისტიან ციგემ საჯარიმოში ბურთი კარსტენ იანკერს მიაწოდა, რომლის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**მე-8 წუთი:** კარსტენ იანკერმა მცველს და მეკარეს ბურთი მოპარა და გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა.

**მე-14 წუთი:** ტორსტენ ფრინგსის ჩაწოდებულს მიროსლავ კლოზემ თავი შეაგება — არაზუსტად.

**მე-15 წუთი:** მიროსლავ კლოზეს საზიფათო დარტყმულს მეკარე გაუმკლავდა.

**მე-16 წუთი:** მიხაელ ბალაკმა შორიდან მოჭრილი დაარტყა, თუმც ოდნავ ააცილა.

**მე-20 წუთი:** მიხაელ ბალაკის ჩაწოდებული ბურთი მიროსლავ კლოზემ თავით მარცხენა კუთხეში ჩასვა.

**25-ე წუთი:** მიხაელ ბალაკისა და მიროსლავ კლოზეს კომბინაცია კვლავ გოლით დასრულდა.

**მე-40 წუთი:** ამჯერად კრისტიან ციგემ ჩაუწოდა მიხაელ ბალაკს — 3:0.

**45-ე წუთი:** შნაიდერ-კლოზე-იანკერის გათამაშებული ბურთი ამ უკანასკნელმა შეღწევიანად დაავგვირგვინა.

**50-ე წუთი:** თომას ლინკეს საზიფათო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**69-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერმა მცველი ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა. მიროსლავ კლოზემ კვლავ თავით გაიტანა და ჰეთ თრიქი შეასრულა.

**73-ე წუთი:** კრისტიან ციგემ კუთხურიდან ჩააწოდა, თომას ლინკემ ბურთს მოჰამედ ალ-დეაიას კარში თავით მიუჩინა ადგილი.

**მე-80 წუთი:** მიხაელ ბალაკის გასროლილი მეკარემ გააუვნებლა.

**85-ე წუთი:** ტორსტენ ფრინგსის პასს ოლივერ ბირჰოფი შეჰყვა, ოდნავ წინ გამოსული მეკარე შენიშნა და ოციოდ მეტრიდან ჭვინტით დალაშქრა მეტოქის კარი.

**90-ე წუთი:** ბერნდ შნაიდერმა საჯარიმო უნაკლოდ შეასრულა — 8:0.

# კორეა-იაპონია 2002

## E ჯგუფი. I ტური

## №4 გერმანია 8:0 საუდეთი

1 ივნისი. საპორო (იაპონია). 16.30 „საპორო დოუმ". 32 218 მაყურებელი

1:0, 2:0 კლოზე (20, 25), 3:0 ბალაკი (40), 4:0 იანკერი (45), 5:0 კლოზე (69), 6:0 ლინკე (73), 7:0 ბირჰოფი (84), 8:0 შნაიდერი (90)




შეცვლა: რამელო – 16. იერემისი (46), ალ-ოვაირანი – 7. ალ-შაჰრანი (46), ალ-ტემიატი – 14. ალ-ხათრანი (46), იანკერი – 20. ბირჰოფი (67), კლოზე – 7. ნოივილი (77), ალ-იამი – 15. ჯუმაანი (77)

გაფრთხილება: ციგე (43), ჰამანი (83), ნოორი (90)

მსაჯები: უბალდო აკინო (პარაგვაი); მიგელ ჯაკომუცი (პარაგვაი), მაიკლ რაგონატი (ტრინიდადი და ტობაგო)

| | | |
|---|---|---|
| 22 | ჯარიმა | 11 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 13 | კარში დარტყმა | 0 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

### მატჩის შემდეგ

**რუდი ფიოლერი**
**გერმანიის ნაკრების მწვრთნელი**

ფანტასტიური გრძნობაა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს ასეთი თამაშით იწყებ. ამ ანგარიშს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ჩემი ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ. ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ და არ მოდუნებულან.

ვფიქრობ, ძალიან შეკრული გუნდი მყავს. პირველ ტაიმში ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ძალიან მიხარია, რომ ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები შეასრულეს. მაგრამ ამასთან გულდაწყვეტილიც ვარ — კრისტიან ციგემ და დიტმარ ჰამანმა ხომ ყვითელი ბარათები მიიღეს.

**ნასერ ალ-ჯოჰარი**
**საუდეთის ნაკრების მწვრთნელი**

ეს კატასტროფაა. მოედანზე არ იყო ის გუნდი, რომელმაც მოსამზადებელ ეტაპზე ჩინებულად ითამაშა ბრაზილიასთან, დანიასთან ან თუნდაც ურუგვაისთან. ჩემი ფეხბურთელები ვერაფერს აკეთებდნენ. რა თქმა უნდა, მარცხში ჩემ წილ პასუხისმგებლობასაც ვაღიარებ. წინ კიდევ ორი მატჩი დაგვრჩა და ვეცდებით, იქ მაინც ვივარგოთ.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 8:0 | 3 |
| კამერუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საუდეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:8 | 0 |

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. I ტური

# №7 ინგლისი 1:1 შვედეთი

2 ივნისი. საიტამა (იაპონია). 14.30 „საიტამა სთედიუმ". 52 721 მაყურებელი

1:0 კემპბელი (24), 1:1 ალექსანდერსონი (59)

1 სიმენი

მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი

5 ფერდინანდი — 6 კემპბელი

2 მილსი — 3 ე. კოული

18 ჰარგრივსი

7 ბექემი — 8 სქოულზი — 11 ჰესკი

20 ვასელი — 10 ოუენი

11 ლარსონი — 10 ოლბოკი

9 ლიუნგბერგი — 7 ალექსანდერსონი

17 მ. სვენსონი

6 ლინდეროტი

16 ლუკიჩი — 4 მიალბი — 15 იაკობსონი — 2 მელბერგი

მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი, ლარს ლაგერბეკი

1 ჰედმანი

Fotboll

შეცვლა: მ. სვენსონი – 8. ა. სვენსონი (56), ბექემი – 23. დაიერი (63), ვასელი – 19. ჯ. კოული (74), ოლბოკი – 22. ა. ანდერსონი (80)

გაფრთხილება: კემპბელი (11), ოლბოკი (45), იაკობსონი (73)

მსაჯები: კარლოს სიმონი (ბრაზილია); ჟორჟე ოლივეირა (ბრაზილია), იური დუპანოვი (ბელარუსი)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 15 |
| 2 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 10 | კარში დარტყმა | 13 |
| 2 | თამაშგარე | 1 |



მაგნუს ჰედმანის კარიდან უხეირო გამოსვლამ სოლ კემპბელს ერთადერთი ინგლისური გაატანინა

REUTERS

# არ შეღალატო საკუთარ თავს

პაპუნა კიდია

**დეკემბერში,** მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა რომ ჩატარდა და ინგლისის ნაკრების მეტოქეები გაირკვა, ტელეკომპანია BBC-ს ერთ ენამოსწრებულ წამყვანს სვენ გორან ერიკსონის ხმით უთქვამს: ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. უნდა ვუფრთხილდეთ არგენტინას, ნიგერიას და, რა თქმა უნდა, ინგლისსო. ერთი სიტყვით, ბრიტანელები თავიანთი გუნდის მწვრთნელს იმთავითვე „შე შვედოს" ეძახდნენ და ახლა, როდესაც ინგლისმა შვედეთს ვერ მოუგო ან თუ გნებავთ, ინგლისმა შვედეთთან კინაღამ წააგო, ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავს აუტეხავენ. თან, ტელეეკრანიდან ყველამ ვნახეთ შვედი ქომაგების ნახევრადცინიკური საქციელი — ბატონი სვენ გორანის დიდ გამოსახულებას ათამაშებდნენ, ხოლო ყელზე მისთვის თავიანთი შარფი შემოეხვიათ.

არადა, ჩვენ თუ გვკითხავთ, ის, რომ ინგლისმა შვედეთს ვერ მოუგო, მისი შვედი მწვრთნელის ბრალი სულაც არ იყო. მეტიც, ერიკსონის დარიგებულ გუნდს ჰქონდა კულმინაციური მომენტი, გაცილებით სჯობდა მოწინააღმდეგეს, ანგარიშიც იმ დროისთვის მის სასარგებლოდ იყო და გამეტიდურების ნაცვლად თავისთვის ძალის დატანება სჭირდებოდა მეტოქე ხერხემალში რომ გაეტეხა, მაგრამ... ვფიქრობთ, ის ის შემთხვევა იყო, როდესაც მეტოქემ კი არ მოიკრიბა ძალ-ღონე, რათა ფერფლიდან აღმდგარიყო, არამედ, თავად ინგლისმა მისცა ამის საშუალება.

სვენ გორან ერიკსონმა კი თავიდან ცოტათი მართლა გაგვაოცა — თავდასხმის წყობას ვგულისხმობთ: ჩვეულებრივ ცენტრში მოთამაშე ბრგე ემილ ჰესკი მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ეთამაშა. არადა, გარემარბობას ხომ თითქოს უცხო სიმსუბუქე და სისხარტე უხდება. შუაში კი მაიკლ ოუენი და დარიუ ვასელი მანევრირებდნენ, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჰესკიმ მარცხენაფლანგელობას კარგად გაართვა თავი და დაგვარწმუნა, რომ ერიკსონის ექსპერიმენტი ცუდი არ იყო.

და ინგლისი მეტოქეს მიაწვა, ჩვეული ტემპი შესთავაზა, ბურთი ჩააწოდა. ერთი სიტყვით, მთელი ინგლისური პრეისკურანტი წარმოაჩინა, რამაც 24-ე წუთზე ლოგიკური შედეგი მისცა: დევიდ ბექემმა მარცხნიდან კუთხური ჩაჰკიდა, შვედი მეკარე მაგნუს ჰედმანი გამოსვლისას შეცდა და მცველთაგან რატომღაც წამით მივიწყებულმა, უკნიდან შემოვარდნილმა სოლ კემპბელმა კლასიკური თავურით გახსნა ანგარიში.

შემდეგ, დაახლოებით 30-ე წუთისთვის თამაში დამშვიდდა, ოღონდ ისე, რომ ძლიერი და სუსტი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი — ინგლისი შვედეთზე მნიშვნელოვნად მეტი გახლდათ და ასეც დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორეში კი... არა, მაინც ვფიქრობთ, რომ ინგლისი გამეტიდურდა, შეხვედრა მოგებულად დამთავრებამდე 45 წუთით ადრე ჩათვალა და დაისაჯა. აქვე შემოგთავაზებთ ერთ პატარა განსჯას: ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ წარმატების მისაღწევად სჯობს რაც ბუნებით ხარ, ბოლომდე იმად დარჩე. კერძოდ, ინგლისი ტემპით, ჩაკიდებებით, ორთაბრძოლებით და კიდევ ბევრი კომპონენტით არის გამორჩეული, მაგრამ ისეთი მეცნიერება, როგორიც ანგარიშის შენარჩუნება ანუ ბურთის გათამაშება, დინჯი კონტროლი თუ პოზიციური გადაადგილებები გახლავთ, სხვათა კოზირია. არ ვიცით, დაგვეთანხმებით თუ არა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შვედებთან შეხვედრაში ინგლისელებმა სწორედ თავიანთ სტილს უღალატეს და... რა თქმა უნდა, ფრანგებისა არ იყოს, მათაც ეტყობოდათ მომქანცველი, უგრძესი სეზონის კვალი.

ერთი სიტყვით, ინგლისმა ტემპი ისე დააგდო, რომ ბურთი და ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა. ამიტომაც დადგა ის საბედისწერო (თუ ეს სიტყვა გადაჭარბებული არ არის) 59-ე წუთი, როდესაც შვედებმა შეტევა ერთი გრძელი პასით დაიწყეს, დენი მილსმა, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, მთლიანობაში ურიგოდ არ უთამაშია, საჯარიმოდან ვარდნით გამოტანისას ბურთი ალექსანდერსონს მიართვა — მის დარტყმულს კი დევიდ სიმენმა ვერაფერი მოუხერხა.

ამის შემდეგ შვედები იმტაზე მოვიდნენ და შეუტიეს და შეუტიეს — სიმენს ორჯერ აშკარა გოლისგან მოუხდა თანაგუნდელთა და მეტოქის თანამემამულე მწვრთნელის გადარჩენა: ერთხელ ოლბოკს აუღო, მეორედ — ლუკიჩს.

მერე, ნელ-ნელა თამაში ისევ გაწონასწორდა, მაგრამ ბოლო მომენტი მაინც შვედებისა იყო: ჰენრიკ ლარსონმა მეტოქის უხეში შეცდომით ვერ ისარგებლა, პოზიცია გაიუარესა და ბურთი სიმენის კარს ველარ დაუმიზნა.

დაბოლოს, იმ ინგლისელებზე, ვისგანაც ბევრს ელოდნენ:

დევიდ ბექემმა ძირითადად კუთხურების ჩაწოდებისას იაქტიურა — მას ხომ მძიმე ტრავმა ნაჩქარევად მოურჩინეს — და მეორე ტაიმის შუაში კირონ დაიერით შეცვალეს.

მაიკლ ოუენსაც არ გაუმართლა, მისი შესრულებით კაცს მხოლოდ ერთი ეპიზოდი დაგამახსოვრდებოდა, უმეტესად ჩრდილში გახლდათ მოქცეული.

...ხოლო სვენ გორან ერიკსონს 7 ივნისს მის მიერ „ლაციოში" გაწვრთნილი და გამოზრდილი არგენტინელი ბიჭების ბასრი კბილი ელის. არგენტინა ხომ შვედეთი არ არის!

## მატჩის შემდეგ

**სვენ-გორან ერიკსონი**

*ინგლისის ნაკრების მწვრთნელი*

სამწუხაროა, მაგრამ ფეხბურთში ასეთები ხდება. პირველ ტაიმში მეორე გოლიც უნდა გაგვეტანა. ეს ვერ შევძელით, მერე კი შვედებმა უკეთესად ითამაშეს.

**ლარს ლაგერბეკი**

*შვედეთის ნაკრების თანამწვრთნელი*

ჩვენ კარგად ვიცოდით ინგლისელთა სათამაშო სტილი და მათი სუსტი მხარეები. ზუსტად ეს დაგვეხმარა დღეს. ცოტა გულდასაწყვეტიცაა მეტი გოლის გატანა რომ ვერ მოვახერხეთ.

## სტენოგრამა

**მე-10 წუთი:** ტედი ლუკიჩის სახიფათო საჯარიმო უშედეგო გამოდგა.

**21-ე წუთი:** დევიდ ბექემმა საჯარიმოში მყოფ დარიუს ვასელს ჩაუწოდა, შვედთა მეკარემ იმარჯვა.

**24-ე წუთი:** დევიდ ბექემმა კუთხური ჩააწოდა. საჯარიმოში ყველას სოლ კემპბელმა დაასწრო და თავით უძლიერესად დაარტყა — 1:0.

**29-ე წუთი:** ჰენრიკ ლარსონის საჯარიმო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**38-ე წუთი:** ეშლი კოულის შორეულ დარტყმას მაგნუს ჰედმანი გაუმკლავდა.

**39-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს რიო ფერდინანდი გამოეხმაურა, თუმც დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

**მე-40 წუთი:** მარკუს ოლბოკის სახიფათო დარტყმას დევიდ სიმენი დაეუფლა.

**46-ე წუთი:** დენი მილსის შორეულ დარტყმულს მაგნუს ჰედმანი დახვდა.

**47-ე წუთი:** მარკუს ოლბოკის დარტყმულმა ვერც ამჯერად უწია მიზანს.

**50-ე წუთი:** ნიკლას ალექსანდერსონის ჩაწოდებულს ჰენრიკ ლარსონმა უხეიროდ დაჰკრა.

**51-ე წუთი:** მარკუს ოლბოკი საჯარიმოში დაეცა. შვედები პენალტს ითხოვდნენ, თუმც ამაოდ.

**59-ე წუთი:** ინგლისელთა საჯარიმოში არეულობაა. დენი მილსმა თითქოს კი მოიგერია ბურთი, მაგრამ ის ნიკლას ალექსანდერსონს მიუვიდა, რომლის დარტყმულიც ზუსტი გამოდგა — 1:1.

**62-ე წუთი:** ტედი ლუკიჩის სახიფათო დარტყმა დევიდ სიმენმა მოიხელთა.

**65-ე წუთი:** ამჯერად ტედი ლუკიჩი მეკარესთან პირისპირ დარჩა, სიმენმა კვლავ იყოჩაღა.

**67-ე წუთი:** ტობიას ლინდეროტის დარტყმული ზემოდან გადასცდა ინგლისელთა კარს.

**72-ე წუთი:** მაიკლ ოუენი ურტყამს სახიფათოდ, თუმც ოდნავ არაზუსტად.

**76-ე წუთი:** მაგნუს ჰედმანმა ჯო კოულიც გააწბილა.

**79-ე წუთი:** ემილ ჰესკიმ სისწრაფეში მცველი დაჩაგრა და მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ.

**89-ე წუთი:** დენი მილსის ჩაწოდებულს ემილ ჰესკიმ დაჰკრა თავური. ბურთი ჰედმანის კარს ასცდა.

**90-ე წუთი:** ჰენრიკ ლარსონს რეალური შანსი მიეცა გოლის გასატანად, მაგრამ ვერ გამოიყენა.

## ინგლისი VS შვედეთი

| ინგლისი | | შვედეთი |
|---|---|---|
| დევიდ ჯეიმსი (193 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | ანდრეას ისაკსონი (196 სმ) |
| დარიუს ვასელი (169 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | მაგნუს სვენსონი (172 სმ) |
| დევიდ ჯეიმსი (94 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | მაგნუს ჰედმანი (93 კგ) |
| კირონ დაიერი (60 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ჰენრიკ ლარსონი (71 კგ) |
| მაიკლ ოუენი (16 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ჰენრიკ ლარსონი (21 გოლი) |
| დევიდ სიმენი (69) | ყველაზე მეტი თამაში | ჰენრიკ ლარსონი (68) |
| 180.9 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 183.3 სმ |
| 76.47 კგ | საშუალო წონა | 79.04 კგ |
| 27.4 | საშუალო ასაკი | 26.19 |
| ჯო კოული (20 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ზლატან იბრაჰიმოვიჩი (20 წლის), ანდრეას ისაკსონი (20 წლის) |
| დევიდ სიმენი (38 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | მაგნუს სვენსონი (33 წლის) |

# კორეა-იაპონია 2002
## F ჯგუფი. I ტური

# №5 არგენტინა 1:0 ნიგერია

2 ივნისი. იბარაკი (იაპონია). 10.30 „იბარაკი კაშიმა სოკერ". 34 050 მაყურებელი

1:0 ბატისტუტა (63)




შეცვლა: ლოპესი – 18. კილი გონსალესი (46), კანუ – 7. იკედია (48), სოდჯე – 15. ქუსტიჩი (74), ვერონი – 16. აიმარი (78), ბატისტუტა – 19. კრესპო (81)

გაფრთხილება: სამუელი (51), სოდჯე (73), სიმეონე (90)

მსაჯები: ჟილ ვესიე (საფრანგეთი); ფრედერიკ არნო (საფრანგეთი), ჰაინერ მიულერი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 20 |
| 11 | კუთხური | 4 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 20 | კარში დარტყმა | 7 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

# ბატისტუტამ პესო აწია

დავით თავართქილაძე

**სააგენტო** „როიტერი" ამ მატჩის მიმოხილვას იმით იწყებს, რომ არგენტინაში ეკონომიკა საშინელ კრიზისშია, საბანკო ანგარიშები გაყინულია, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშის საკრედიტო რეიტინგი ისეთი მაღალია, როგორიც არასდროს.

ვინმეო ყურს უხეშად ხვდება ფრაზა „ანგარიშის საკრედიტო რეიტინგი", მაგრამ გაბრიელ ომარ ბატისტუტას კინკილა და სამქულიანმა გოლმა ბუენოს აირესის ქუჩებში ზღვა ხალხი გამოფინა. სიხარული იმდენად დიდი იყო, არგენტინული პესოს კურსის დაცემის შეწყვეტას და საფონდო ბირჟების გამოცოცხლებასაც კი დაჩრდილავდაო, ირწმუნება იგივე „როიტერი".

ისე, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასაც გვარიანად უჭირს. შედეგად, ნაკრების ფეხბურთელებმა უკვე ხელი დაუქნიეს სამუნდიალო ჰონორარებს და მარსელო ბიელსაც ლამის საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს.

მატჩზე იმასღა მოგახსენებთ, რომ ნიგერია სიმპათიურად გამოიყურებოდა თავისი მეკარის კარგი თამაშის გამო. თუმც ბატისტუტას სამჯერ მიეცა რეალური საგოლე შანსი და სამივე უმეტესწილად მცველთა უხეში შეცდომების წყალობით.

მაგრამ დონეცკის „შახტარის" და ლონდონის „ქრიუს" ნიგერიელი მცველები, ისა ოკორონკვო და ეფე სოდჯე მაინც ქების ღირსნი არიან.

ერთადერთხელ გაიბრწყინა აგუსტინ ოკოჩამ, რომლის შორეული გასროლა პაბლო კავალიერომ გააუვნებლა.

გაცილებით მეტს ელოდნენ კლაუდიო ლოპესისგან, ხოლო არიელ ორტეგაზე ითქვა, ბევრად უკეთესად შეუძლია თამაშიო.

გოლის გატანა ბატისტუტას შემცვლელ ერნან კრესპოსაც მართებდა, მაგრამ მისმა ჩაზვეულმა ბურთმა ძელს გარედან უგანა.

ხუან სებასტიან ვერონი კი თავის საკეთებელს სანიმუშოდ ასრულებდა.

და კვლავ გაბრიელ ბატისტუტა: ის ამ გოლით მეათე ფეხბურთელი შეიქნა, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე ათი და მეტი გოლი დაუგროვებია. „ბატიგოლს" კიდევ ოთხი ბურთი სჭირდება რეკორდსმენს რომ გაუტოლდეს — გერდ მიულერმა 14 გოლი ორ მუნდიალზე (1970 და 1974) შეაგდო, ბატისტუტა კი ახლა მესამე წრეზეა.


თავურის გამტანში გაბრიელ ბატისტუტამ (№9) ერთი საგოლე თავურიც გააცუდა

REUTERS ისარიშვილი


სელესტინ ბაბაიარომ არიელ ორტეგას ლამის მაისური შემოახია

REUTERS ისარიშვილი

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიგერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

## მატჩის შემდეგ

**მარსელო ბიელსა**
*არგენტინის ნაკრების მწვრთნელი*

შეგვეძლო უფრო დიდი ანგარიშითაც მოგვეგო და ასეც უნდა მოვქცეულიყავით, მაგრამ არ გვიმართლებდა. თუმც საერთო ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ. პირველი გამოცდა ჩავაბარეთ. ახლა მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ.

**ადეგბოიე ონიგბინდე**
*ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი*

ჩვენ დავმარცხდით ძალიან ძლიერ გუნდთან. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

## სტენოგრამა

მე-4 წუთი: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სოდჯე ურტყამდა სახიფათოდ.

მე-8 წუთი: გაბრიელ ბატისტუტამ შორიდან გაისროლა, თუმც ააცილა.

მე-19 წუთი: ხავიერ ძანეტის 30 მეტრიდან დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

მე-20 წუთი: გაბრიელ ბატისტუტას იკე შორუნმუმ აუღო.

21-ე წუთი: კლაუდიო ლოპესის პასით გაბრიელ ბატისტუტა ხელსაყრელ პოზიციაში რჩება, თუმც მეკარემ დაასწრო და ფეხიდან ააცალა ბურთი.

30-ე წუთი: არიელ ორტეგას ოციოდ მეტრიდან დარტყმული იკე შორუნმუმ კუთხურზე გადააგდო.

31-ე წუთი: აუგუსტინ ოკოჩამ ხუან პაბლო სორინი იოლად ჩამოიშორა და კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

32-ე წუთი: კუთხურიდან ჩაწოდებულს ჟოზეფ იობო გამოეხმაურა, მაგრამ ოდნავ ააცილა კარს.

37-ე წუთი: ხუან სებასტიან ვერონმა კუთხური შორეულ ძელთან ჩააწოდა, ბურთს გაბრიელ ბატისტუტამ დაჰკრა თავი, მაგრამ ზემოდან გადააშორა კარს.

38-ე წუთი: ჯულიუს აგაოვას მაკრატელა კარს ასცდა.

48-ე წუთი: ხუან სებასტიან ვერონის კუთხურიდან ჩაწოდებული ბატისტუტამ ორი მეტრიდან ააცილა.

51-ე წუთი: გაბრიელ ბატისტუტამ საჯარიმო დარტყმა შეასრულა, თუმც ოდნავ ააცილა.

59-ე წუთი: კუთხურიდან ჩაწოდებულს მაურისიო პოჩეტინიომ ვერ დაარტყა ზუსტად.

63-ე წუთი: ვერონის კუთხურს ბატისტუტამ, როგორც იქნა, საგოლე თავური მიაყოლა.

66-ე წუთი: ხუან სებასტიან ვერონის დარტყმული მეკარემ მოიგერია.

67-ე წუთი: ბატისტუტას დარტყმული კარს ასცდა.

68-ე წუთი: ვერონის 25 მეტრიდან გასროლილი მეკარემ გააუვნებლა.

79-ე წუთი: ბატისტუტას საჯარიმო იკე შორუნმუმ ლამაზ ნახტომში მოიგერია.

83-ე წუთი: გარბა ლავალის კუთხურიდან ჩაწოდებულს ბართოლომეო ოგბეჩემ დაჰკრა თავი, მაგრამ კარს ზემოდან გადააცილა.

90-ე წუთი: კილი გონსალესის დარტყმულს იკე შორუნმუმ ლამაზი ნახტომი შეაგება.

## არგენტინა VS ნიგერია

| არგენტინა | | ნიგერია |
|---|---|---|
| ხერმან ბურგოსი (188 სმ); პაბლო კავალიერო (188 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | ნვანკვო კანუ (197 სმ) |
| მარსელო გალიარდო (169 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | პიუს იკედია (166 სმ) |
| ხერმან ბურგოსი (90 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ტარიბო ვესტი (87 კგ) |
| პაბლო აიმარი (62 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | პიუს იკედია (60 კგ) |
| გაბრიელ ბატისტუტა (56 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ჯულიუს აგაოვა (11 გოლი) |
| დიეგო სიმეონე (105) | ყველაზე მეტი თამაში | აუგუსტინ ოკოჩა (57) |
| 178.4 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 180.9 სმ |
| 73.91 კგ | საშუალო წონა | 75.0 კგ |
| 28.8 | საშუალო ასაკი | 23.25 |
| ვალტერ სამუელი (24 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ფემი ოპაბუნმი (17 წლის) |
| კლაუდიო კანიჯა (35 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | იკე შორუნმუ (34 წლის) |



REUTERS ნიუსფოტოს

ხარედ ბორგეტიმ სტიპე პლეტიკოშას კარს უხეიროდ შეუტია

# იქვავთემოკეს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს!

სოლომონ ბულისაშვილი

**ხორვატი** ბორის ჟივკოვიჩი მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ფეხბურთელი გახდა, მოედნიდან რომ გააძევეს. გერმანული „ლევერკუზენის" მცველი საკუთარ საჯარიმოში კვატემოკ ბლანკოს ეუხეშა, წითელიც მიიღო და მსაჯს პენალტიც გამოსტყუა. პენალტი, რომელიც ზუსტად დაარტყა იმავე ბლანკომ.

ზოგადად მატჩი დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. ორივე გუნდი ფრთხილობდა და ცალკეულ დაარტყა-მოიგერიეს თუ არ ჩავთვლით, მოწინააღმდეგის ნახევარზე უხალისოდ გადადიოდნენ. ხორვატებმა სულაც გადაბერებული, უფრო სწორად, ენერგიაგამოცლილი კრებულის შთაბეჭდილება დატოვა. აშკარაა, ეს ხორვატია იმის ნარჩენებილაა, ოთხი წლის წინ მუნდიალზე ბრინჯაოს მედლები რომ მოიპოვა. შუკერი, პროსინეჩკი და ბოკშიჩიც ველარ ხორვატობენ. მათი თვალებზწითლებული მწვრთნელი მირკო იოზიჩიც წინამორბედ მიროსლავ ბლაჟევიჩზე ყოჩაღი ვერ ჩანს. ხორვატთა თამაშში არ იყო ის ჟინიანობა, რითაც იუგოსლავიიდან გამოყოფის შემდეგ თავი დაგვამახსოვრეს.

მექსიკელ ფეხბურთელთა ამ თაობას კარგად ვიცნობთ. ჯერ იყო საფრანგეთის მუნდიალი, მერე, 1999-ში კონფედერაციათა თასი, რომელიც მექსიკაში, მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე ჩატარდა და მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. იქ მექსიკელებმა ლაღი, შემტევი ფეხბურთი აჩვენეს და აკი წლევანდელ შეჯიბრებაზეც დამსახურებულად მოხვდნენ. კვატემოკ ბლანკო ხომ სულაც გამორჩეული კაცია. მისი „ავჭალური" ფინტის ამბავი ყველამ ვიცით და როცა ნაკრების მეორე ლიდერმა, ლუის ერნანდესმა თამაშს მოუკლო, წამყვანი სწორედ ის გახდა. აბა, ქომაგებს როგორ დაავიწყდებათ მისი მექსიკელობა, დღე ერთია და ხან კოვბოის განასახიერებს, ხან ბუცებს ხელში დაიჭერს და ტორეროს ბაძავს, ხანაც კარის ძელს მიადგება და ძაღლის მოშარდვის იმიტაციას აკეთებს. სახელიც ისეთ აქვს, ეროვნულ გმირობას რომ შეეფერება. მავანი კვატემოკი შუასაუკუნეებში ის ადამიანი ყოფილა, ვინც ესპანელ დამპყრობლებს ებრძოდა და მერე მასზე ლეგენდებიც დაწერეს. მოკლედ, კვატემოკი მექსიკაში იგივეა, რაც საქართველოში ერეკლე ან თორნიკე– გუშინდელი გოლიც ახლახან გარდაცვლილი ბებიასთვის მიუძღვნია, ეს ბურთი და გამარჯვებაც მის სახელზე იყოს, შევპირდი და ავასრულე კიდეცო, თქვა თამაშის მერე.

თამაშს დავუბრუნდეთ. მექსიკელებმა დისკვალიფიცირებული „დირიჟორის", მონტერეელი ხესუს არელანოს გარეშეც დაალაგეს ურთიერთობები და მერვედფინალისკენ საფუძვლიანი ნაბიჯი გადადგეს. პენალტი პენალტად და საქმე ასე იყო, სევილიელმა ხერარდო ტორადომ ცენტრში ბორგეტი მოძებნა, თავად საჯარიმოსკენ გაიქცა და ამით ხორვატი მცველებიც დააბნია, ისინი ფიქრობდნენ, ბორგეტი „კედელს" გაითამაშებსო, მაგრამ ბორგეტიმ ქუსლით ბლანკოს მისცა პასი და მერე რაც მოხდა, უკვე ვთქვით.

ათი კაცით დარჩენილმა ხორვატებმა მდგომარეობის გამოსწორება თავისებურად სცადეს, შუკერის მაგიერ დანიელ სარიჩი, ხოლო ბოკშიჩის ნაცვლად მარიო სტანიჩი შეუშვეს მინდორზე მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე „ბებრებიდან" ერთ-ერთი, ზვონიმირ სოლდოც ცდილობდა, თუმცა „ეს" ხორვატია „იმ" ხორვატიას მაინც ვერ დაემსგავსა.

თამაში რომ მორჩა, მირკო იოზიჩის ბიჭები ერთმანეთს უყურებდნენ და ვერ გაეგოთ, რა მოხდა. გამარჯვებებს მიჩვეულები თითქოს დაბნეულებიც ჩანდნენ, თანაგუნდელთა თვალებში ცდილობდნენ ნუგეშის პოვნას, მაგრამ, აბა, რას გამორჩებოდნენ, როცა მათმა მატარებელმა უკვე სულ სხვაგან გაუხვია, ახლანდელი ხორვატია ორი წლის წინანდელ გერმანიას ჰგავს, გუნდს, რომელსაც პერსპექტივა ძნელად თუ მოეძებნება.

მექსიკა კი ხარობდა, ხარობდა ალალად და დამსახურებულად, ტრიბუნებზეც უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა, ადამიანები, რომლებისთვისაც კვატემოკობა სულ ერთი სულაც არ არის...



REUTERS ნიუსფოტოს

ბორის ჟივკოვიჩი კვატემოკ ბლანკოს არაჯენტლმენურად მოექცა

## კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. I ტური
## №9 ხორვატია 0:1 მექსიკა

3 ივნისი. ნიიგატა (იაპონია). 11.30 „ნიიგატა სთედიუმ ბიგ სუან". 32 239 მაყურებელი

0:1 ბლანკო (60პ)




შეცვლა: პროსინეჩკი – 5. რაპაიჩი (46), შუკერი – 15. სარიჩი (64), ბოკშიჩი – 13. სტანიჩი (67), ბორგეტი – 15. ლ. ერნანდესი (68), ბლანკო – 17. პალენსია (79)

გაძევება: ჟივკოვიჩი (59)

მსაჯები: იუნ ლუ (ჩინეთი); კომალისვარან სანკარი (ინდოეთი), ტაუფიკ აჯენგუი (ტუნისი)

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 18 |
| 11 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 7 |
| 8 | თამაშგარე | 1 |

## მატჩის შემდეგ

### ხავიერ აგირე
*მექსიკის ნაკრების მწვრთნელი*

რთული მატჩი გამოვიდა, ხორვატებმა ბოლომდე იბრძოლეს. ოსკარ პერესმა რამდენჯერმე გადაგვარჩინა, თუმც როცა მეტოქეს მოთამაშე გაუგდეს, ჩვენი უპირატესობა გამოიკვეთა. შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში ხშირად ვცდებოდით, მაგრამ შეცდომების სიმრავლით არც მოწინაალმდეგე ჩამოგვრჩა.

ეს გამარჯვება მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგია, რომელიც გუნდმა 45 დღის მანძილზე გასწია.

### მირკო იოზიჩი
*ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი*

პირველი ბრძოლა წაგებულია, თუმც მთავარი ომი წინ გვაქვს. მარცხით დაწყება რა საკვირველია, ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ შოკიდან მალე უნდა გამოვიდეთ.

მექსიკელთა ძალა კარგად გვქონდა შეფასებული, მაგრამ თამაში არ აგვეწყო, ბურთს ვერ ვაკონტროლებდით და პასის გაკეთებისას ხშირად ვცდებოდით მექსიკელთაგან კი მეკარეს გამოვარჩევ

## სტენოგრამა

**მე-2 წუთი:** ნიკო კოვაჩის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა რობერტ პროსინეჩკიმ ხარიხას გადააცილა.

**მე-6 წუთი:** დავორ შუკერის სახიფათო თავური მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**მე-11 წუთი:** რობერტ პროსინეჩკიმ შუკერი ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა, თუმც ამას ბურთი აეჭრა და კარგი შანსი გააცუდა.

**მე-14 წუთი:** რობერტ იარნის ჩაწოდებულს ზვონიმირ სოლდომ მძლავრი თავური დაჰკრა. ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

**25-ე წუთი:** ალენ ბოკშიჩმა ნიკო კოვაჩს პასი მისცა, თუმც მეკარემ იმარჯვა და ბურთი ვარდნაში აუტზე გადააგდო.

**32-ე წუთი:** კუთხურიდან ჩაწოდებულს კვატემოკ ბლანკომ დაუხვედრა თავი. პლეტიკოშამ ზუსტად შეარჩია ადგილი და იოლად დაეუფლა ბურთს.

**33-ე წუთი:** რამონ მორალესმა ბრწყინვალე გადაცემა გაუკეთა ბორგეტის, თუმც ამან უხეიროდ დაჰკრა.

**მე-40 წუთი:** რაფაელ მარკესის დარტყმული მეკარემ გააუვნებლა.

**45-ე წუთი:** პლეტიკოშამ კვატემოკ ბლანკოსაც არ გაატანინა.

**47-ე წუთი:** მილან რაპაიჩმა საჯარიმოში ზვონიმირ სოლდო მოძებნა, თუმც ოსკარ პერესმა იმარჯვა.

**54-ე წუთი:** მილან რაპაიჩის სახიფათო საჯარიმო ოდნავ ასცდა კარს.

**მე-60 წუთი:** რაფაელ მარკესმა კარგად შენიშნა კვატემოკ ბლანკო, რომელმაც ბურთი საჯარიმოში შეიგდო, ბორის ჟივკოვიჩმა კი სარმა გამოსდო. ეს ეპიზოდი ხორვატებს პენალტად და ჟივკოვიჩის გაძევებად დაუჯდათ. თერთმეტმეტრიანი კი თავად დაზარალებულმა უნაკლოდ დაარტყა.

**86-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა რამონ მორალესმა მცველი მოატყუა და კარშიც დაარტყა, თუმც მეკარემ იყოჩაღა.

## ხორვატია VS მექსიკა

| | | |
|---|---|---|
| იოსიპ სიმუნიჩი (195 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | ფრანსისკო გაბრიელ დე ანდა (188 სმ) |
| ნიკო კოვაჩი (176 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ხერმან ვილა (171 სმ) |
| იოსიპ სიმუნიჩი (89 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ოსვალდო სანჩესი (83 კგ) |
| ივიცა ოლიჩი (62 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | იოჰან როდრიგესი (63 კგ) |
| დავორ შუკერი (45 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ლუის ერნანდესი (35 გოლი) |
| დავორ შუკერი (69) | ყველაზე მეტი თამაში | ხორხე კამპოსი (175) |
| 183.7 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 176.7 სმ |
| 78.34 კგ | საშუალო წონა | 71.69 კგ |
| 28.1 | საშუალო ასაკი | 27.88 |
| იურიცა ვრანიეში (22 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ხერარდო ტორადო (23 წლის) |
| ზვონიმირ სოლდო (34 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ხორხე კამპოსი (35 წლის) |

# და რა შუაშია აქ მიუნხენი?


REUTERS საპრომოფოტო

რაულ გუერონმა ჯანლუკა ძამბროტას მუშტი მოუღერა და ხელები ააწევინა

## კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. I ტური

## №11 იტალია 2:0 ეკვადორი

3 ივნისი. საპორო (იაპონია). 16.30 „საპორო დოუმ". 31 081 მაყურებელი

ხ0, 2:0 ვიერი (7, 27)




შეცვლა: აგინაგა – 18. ჯ. ტენორიო (46), ე. ტენორიო – 15. მ. აიოვი (59), დონი – 16. დი ლივიო (64), დი ბიაჯო – 8. გატუზო (69), ტოტი – 7. დელ პიერო (74), კალა – 7. ასენსიო (85)

გაფრთხილება: პოროსო (14), დე ლა კრუზი (49), კალა (54), კანავარო (74)

მსაჯები: ბრაიან ჰალი (აშშ); ექტორ ვერგარა (კანადა), ფილიპ შარპი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 8 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 13 | კარში დარტყმა | 8 |
| 6 | თამაშგარე | 2 |

პაპუნა კიდია

„საპორო დოუმი" ის სტადიონია, რომლისთვისაც ფიფამ, როგორც ჩანს, წყვილები საგანგებოდ შეარჩია — ჯერ იყო და, გერმანიას საუდის არაბეთი შეახვედრა, შემდეგ კი იტალიას ეკვადორი. და რა განსხვავება იყო ამ ორ თამაშს შორის? ის, რა განსხვავებაც გერმანელებსა და იტალიელებს შორისაა — გერმანელებსაც შეეძლოთ საუდელთა 2:0 დამარცხება და იტალიელებსაც ეკვადორელთა 8:0 განადგურება, მაგრამ მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო: გერმანელებმა 8:0 მოიგეს, ხოლო იტალიელებმა 2:0. ამასთან, დაგვეთანხმებით, როგორც ერთ, ისევე მეორე გამარჯვებულს ინტერესის გულისთვის ხელეწიფებოდათ თავისი მეტოქის წინასწარ დათქმული ანგარიშით, ვთქვათ 7:3, 11:0, 2:1 და ა.შ. ძლევა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი მსგავსი მასხარაობისთვის ძალიან სერიოზული შეჯიბრებაა.

ერთი სიტყვით, იტალიამ წაივარჯიშა. ვინ იცის, საწვრთნელ ცენტრში რომ დარჩენილიყო, ორად გაყოფილიყო და ისე ეთამაშა, უფრო დიდი ძალა დადგომოდა, მაგრამ კალენდარი კალენდარია და მსოფლიოს ჩემპიონატს ჯგუფურ ეტაპზე ცხრილები სჭირდება.

იტალიელთაგან ორივე გოლი კრისტიან ვიერიმ გაიტანა. პირველად ასისტენტობა ფრანჩესკო ტოტიმ გაუწია, მეორედ — ლუიჯი დი ბიაჯომ, რომელმაც ლამის საკუთარი საჯარიმოდან ისე გადაუგდო ბურთი, რომ თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ შევიდა.

სხვა ამ შეხვედრაში გამოსარჩევი არაფერი ყოფილა თუ იმას არ ჩავთვლით, სულ ბოლოს ეკვადორელი მენდესი ბუფონის პირისპირ რომ დარჩა, დაარტყა და მეკარემ მოიგერია. მეკარესთან კი ყვითელმაისურიანთა მე-19 ნომერი იმიტომ აღმოჩნდა, რომ „სკუადრა ატურას" მცველებს უკვე სირბილი ეზარებოდათ და როდესაც მენდესმა ბურთი მიიღო, გამოდევნების მაგივრად გაჩერდნენ, თანამსაჯს ხელი აუწიეს და ოფსაიდის ნიშნად ალმის ალმართვა მოსთხოვეს.

იქნებ, მაინც შევამჩნიეთ რამე? აბა, გავიხსენოთ: დაშავებული ფილიპო ინძაგის არყოფნაში ჯოვანი ტრაპატონიმ კრისტიან ვიერის მხარდამხარ თამაში არც ვინჩენცო მონტელას ანდო და არც ალესანდრო დელ პიეროს. ვიერისთან ერთად დონ ტრაპმა ფრანჩესკო ტოტი გაამწესა, ხოლო თავდამსხმელთა „მომმარაგებლის" როლი მუშა ნახევარმცველებს, უფრო მეტად კი ლუიჯი დი ბიაჯოს ანდო და ბარემ აქვე დავძინოთ, რომ ტრაპატონისა და დელ პიეროს შორის დავაა — ტრაპატონი „იუვენტუსის" ვარსკვლავს უფრო გამთამაშებლად ხედავს, დელ პიერო კი უარს ამბობს, წლობით თავდამსხმელობას შემაჩვიეს და ახლა მოედნის სიღრმიდან სირბილს ვერ დავიწყებო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ამ ჩემპიონატზე უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ვიხილავთ, ხოლო მოედანზე, ეკვადორთან შეხვედრისა არ იყოს, ბოლოსკენ შეუშვებენ ხოლმე.

და კიდევ ერთი სასეირო დეტალი: რაკილა მოედანზე თავშესაქცევი არაფერი ხდებოდა, თვალი ტელეკამერასთან ერთად ტრიბუნისკენ გაგვირბოდა და იქ „მიუნხენ 1860"-ის დროშა იყო გადმოფენილი. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს?


REUTERS საპრომოფოტო

კრისტიანო დონიმ ეკვადორელებს უეჭველად გასატანი ვერ გაუტანა

## მატჩის შემდეგ

### ერნან დარიო გომესი
*ეკვადორის ნაკრების მწვრთნელი*

რთული მატჩი გამოდგა. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ისედაც ძალიან ძნელია, მით უფრო, როცა იქ პირველად გახვედი და მეტოქედ იტალია გყავს. შესაძლოა, დღეს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს შევხვდით.

მეტისმეტად ვნერვიულობდით. სათანადოდ კი მოვემზადეთ, თუმცა ამან არ გაჭრა. წაგების მიუხედავად, ვთვლი, რომ საბოლოოდ დაკარგული არაფერია და მომავალ მატჩებს იმედით შევყურებთ.

### ჯოვანი ტრაპატონი
*იტალიის ნაკრების მწვრთნელი*

ინიციატივას თავიდანვე დავეუფლეთ და ყველაფერი გამოგვივიდა. დღევანდელი გამარჯვება იოლად მოვიპოვეთ. მეორე ტაიმში ოდნავ მოვდუნდით, თუმცა უპირატესობა მეტოქისთვის არ დაგვითმია.

### კრისტიან ვიერი
*იტალიელი თავდამსხმელი*

ლამაზი ფეხბურთი ვითამაშეთ. მოკლე დროში ორი გოლი გავიტანეთ და გამარჯვებამდეც იოლად მივიყვანეთ საქმე, თუმცა მატჩის მნიშვნელობა დიდი იყო. არა მხოლოდ მე, მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა.

## სტენოგრამა

მე-7 წუთი: საჯარიმოში შეჭრილმა ფრანჩესკო ტოტიმ კარგად შენიშნა კრისტიან ვიერი. ამის დარტყმული კი ცხრიანში გაეხვია.

მე-11 წუთი: ტოტის 22 მეტრიდან დარტყმული მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

25-ე წუთი: ჯანლუკა ძამბროტამ კრისტიან ვიერის უპასა, თუმცა მან ოდნავ უზუსტად დაარტყა.

27-ე წუთი: ლუიჯი დი ბიაჯოს შორეულ პასს კრისტიან ვიერი შეჰყვა, გზად მცველიც ჩამოიშორა და მეორედ დალაშქრა ეკვადორელთა კარი.

29-ე წუთი: ედისონ მენდესის სახიფათო დარტყმული გარედან მოხვდა ბადეს.

34-ე წუთი: ფრანჩესკო ტოტიმ შორიდან სცადა მეტოქის კარის აღება, თუმცა მეკარემ ნახტომში გააუვნებლა დარტყმული.

44-ე წუთი: ფრანჩესკო ტოტის 35 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო ოდნავ ასცდა კარს.

50-ე წუთი: ჯანლუკა ძამბროტას ჩაწოდებულს ტოტიმ შეუჩერებლივ დაჰკრა, ბურთს მცველი გადაეფარა.

58-ე წუთი: დამიანო ტომაზის გასროლილი მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

59 წუთი: ფრანჩესკო ტოტის კუთხური კრისტიანო დონიმ სახიფათო დარტყმით დაასრულა. ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

63-ე წუთი: კრისტიან ვიერის ხოსე სევალიოსმა აუღო.

მე-80 წუთი: ჯანლუკა ძამბროტას პასი კრისიტიან ვიერიმ კარში გადაგზავნა. მეკარემ იმარჯვა.

90-ე წუთი: აუგუსტინ დელგადოს დარტყმული ბუფონმა კუთხურზე მოიგერია.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## იტალია VS ეკვადორი

| იტალია | | ეკვადორი |
|---|---|---|
| ფრანჩესკო ტოლდო (196 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | აუგუსტინ დელგადო (187 სმ) |
| ანჯელო დი ლივიო (172 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | ედვინ ტენორიო (168 სმ) |
| კრისტიან აბიატი (92 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ხოსე სევალიოსი (80 კგ) |
| ვინჩენცო მონტელა (69 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ლუის გომესი (65 კგ)<br>მარლონ აიოვი (65 კგ) |
| ალესანდრო დელ პიერო (17 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | აუგუსტინ დელგადო (21 გოლი) |
| პაოლო მალდინი (123) | ყველაზე მეტი თამაში | ალექს აგინაგა (93) |
| 182.3 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 177.9 სმ |
| 77.08 კგ | საშუალო წონა | 73.26 კგ |
| 28.15 | საშუალო ასაკი | 27.8 |
| ჯანლუიჯი ბუფონი (24 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | დანიელ ვიტერი (20 წლის) |
| ანჯელო დი ლივიო (35 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ალექს აგინაგა (33 წლის) |

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. C ჯგუფი. №12

## ჩინეთი — კოსტა რიკა

დღეს. გვანგჯუ (კორეა). „გვანგჯუ უორლდ კაფ სთედიუმ“. 11.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ჯინი, ჟიხაი, ჟი, ვეიფენგი, ჩენიანგი, ხაოპენგი, ტიე, კ. ჰონგი, მინგიუ, ჰაიდონგი, ჩენი | ლონისი, უოლესი, მარინი, რაიტი, ჟ. მარტინესი, კასტრო, ვ. ლოპესი, სოლისი, სენტენო, ვანჩოპე, მედფორდი |
| მწვრთნელი: ბორა მილუტინოვიჩი | მწვრთნელი: ალეშანდრე გიმარაეში |

მსაჯი: ქიროს ვასარასი (საბერძნეთი)

# ნაბორალი და ნაბოლარა



REUTERS

ბორა მილუტინოვიჩს ძველი ამბავი გაახსენდა

**ბორა მილუტინოვიჩი** მწვრთნელის რანგში მეხუთე მუნდიალს დააჭაშნიკებს. ბევრმა იგი ძველ ნაცნობს, კოსტა რიკას გადაჰყარა. 1990 წელს, ამერიკაში ის სწორედ კოსტარიკელებს თავკაცობდა და მერვედფინალსაც უწია.

ბორამ იცის, რომ ჩინეთთან ერთად იგივეს გამეორება ძნელია. მიუხედავად ამისა, გვანგჯუში 40 ათასი ჩინელი გულშემატკივარი ჩავიდა, კარიბელებს კი ათასამდე ქომაგი მიემხრობა.

დღეს მილუტინოვიჩი ყველაზე პოპულარული უცხოელია მილიარდიან ჩინეთში. იუგოსლაველის ფოტო ერთ-ერთი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდეს. მწვრთნელი 30-იანი წლების კომუნისტი ჯარისკაცის ფორმაში გამოაწყვეს, ქვემოთ კი წააწერეს: „ჩინეთი გაიმარჯვებს“. ცხადია, გამარჯვებაში მსოფლიოს თასის მოგება არ იგულისხმება, უბრალოდ, სადებიუტო მატჩში კოსტარიკელების დამარცხება სურთ.

პრესისგან გაცილებით შორს წავიდა სატელევიზიო არხი. ტელეჟურნალისტმა საქვეყნოდ განაცხადა ასეთი ფრაზა: „მილუტინოვიჩი რომ არ ყოფილიყო, ჩინეთში ფეხბურთი არ იქნებოდა“.

კორეაში ჩასულმა ჩინელმა ფეხბურთელებმა სამშობლოში ღია წერილი აფრინეს. ეს ერთგვარი დაზღვევა გახლდათ წარუმატებლობის შემთხვევაში. ანდა რა უნდა მოსთხოვონ დებიუტანტებს. „ჩვენ — ნათქვამია წერილში — უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ახალბედები ვართ, თან სუსტნი. გამოცდილება და ოსტატობაც არ გაგვაჩნია. ამიტომ შორსაც ვერ წავალთ“.

ლი ხაოპენგი, ჩინელი ფეხბურთელი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი: „გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროა. პირველად გამოვალთ მსოფლიოს ჩემპიონატზე და დასაკარგიც არაფერი გვაქვს. სამივე შეხვედრას ლაღად ჩავატარებთ“.

თავად ბორა მილუტინოვიჩს კი სჯერა ფეხბურთელებისა და იმისაც, რომ ისინი თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ: „ჯგუფში გასამართი ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. ფან ჟიმ და ჩენ იანგმა ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს. დანაკლისი არ გვაქვს, განწყობაც კარგია, მით უმეტეს, რომ შესანიშნავ პირობებში ვემზადებით. კოსტარიკელებთან მოსაგებად გავალთ, თურქებთან ფრისთვის ვითამაშებთ, ბრაზილიასთან კი რაც იქნება, იყოს“. ასე მიწიერად მიუდგა საქმეს ჩინეთის თავკაცი.

ახლა კარიბელებზეც ვთქვათ. ბოლო ორმა წაგებულმა ამხანაგურმა მატჩმა იქაური მედია გააცეცხლა. განსაკუთრებით იაპონურ „ნაგოია გრამპუსთან“ მარცხმა იმოქმედა დენთივით: „ღმერთო, შენ გვიშველე — წერდა კოსტარიკული გაზეთი — ჩვენი გუნდი ისე დადიოდა მინდორზე, როგორც კუ“.

მწვრთნელი ალეშანდრე გიმარაეში ინტიმარს არ იტეხს და აცხადებს, საპანიკო არაფერია, რადგან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა.

კოსტარიკელთა მთავარმეგოლე პაოლო სესარ ვანჩოპე მომჯობინდა, მაგრამ მისადმი გადამეტებული ყურადღება აღიაზიანებს: „გუნდის წარმატება მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის“.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ჩინეთი VS კოსტა რიკა

| ჩინეთი | | კოსტა რიკა |
|---|---|---|
| ჯიანგ ჯინი (198 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | მაურისიო რაიტი (191 სმ) |
| ხაო ჰაიდონგი (175 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | სტივენ ბრიუსი (170 სმ) |
| ჯიანგ ჯინი (87 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | პაულო ვანჩოპე (83 კგ) |
| კუ ბო (68 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | კარლოს კასტრო (64 კგ) |
| ხაო ჰაიდონგი (32 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | როლანდო ფონსეკა (38 გოლი) |
| ფან ჟი (108) | ყველაზე მეტი თამაში | მაურისიო სოლისი (84) |
| 182.9 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 178 სმ |
| 76 კგ | საშუალო წონა | 74.95 კგ |
| 26.4 | საშუალო ასაკი | 27.97 |
| კუ ბო (20 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | დანიელ ვალეხოსი (21 წლის) |
| ოი ჩულიანგი (33 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ერიკ ლონისი (36 წლის) |

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. D ჯგუფი. №14

## ს. კორეა — პოლონეთი

დღეს. პუსანი (კორეა). „პუსან სთედიუმ“. 16.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ბიუნგ-ჯი კიმი, ჯინ-ჩეულ ჩოი, მიუნგ-ბო ჰონგი, ტაე-იონგ კიმი, ჩონგ-გუგ სონგი, ნამ-ილ კიმი, სანგ-ჩულ იოო, ეულ-იონგ ლი, ჯი-სუნგ პარკი, სუნ-ჰონგ ჰვანგი, კი-ჰეიონ სეოლი | დუდეკი, კლოსი, ვალდოხი, ჰაიტო, მიხალ ჟეველაკოვი, ა. ბაკი, სვიერჩევსკი, კალუჟნი, კოზმინსკი, კრიშალოვიჩი, ოლისადებე |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი | მწვრთნელი: ეჟი ენგელი |

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)



კორეელებმა, პაველ კრიშალოვიჩს და ემანუელ ოლისადებეს სიჭას გავაცლითო

# ვინც დაგვღუპა, იმან გვიშველოს



სუნ-ჰონგ ჰვანგმა და გუს ჰიდინკმა მსოფლიოს თასს ხელი შეავლეს

**„გაირდებით,** ისეთ სანახაობრივ, სწრაფ და ორგანიზებულ ფეხბურთს ვითამაშებთ, აღტაცებას ვერ დაფარავთ“ — მწვრთნელის ნათქვამი სიტყვებია და ისეთი, მუნდიალის ფავორიტებისკენ რომ გაგახედებთ. ამ სიტყვების ავტორმა ისიც თქვა, 90 წუთის განმავლობაში ისე დავპრესავთ მეტოქეს, სიქას გავაცლითო.

იქნებ სასაცილოდაც გამოჩნდეს კორიის ნაკრების მწვრთნელის ეს დანაქადნი, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, რადგან ჩემპიონატის თანამასპინძლებს გუს ჰიდინკი წვრთნის. ამ ჰოლანდიელს კი ასეთი რამეების თქმის საფუძველი აქვს, რადგან დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აწევს მხრებზე.

ჰიდინკი ის კაცია, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებს რომ წვრთნიდა და თანამემამულეებს ჯგუფის მატჩში სწორედ კორეელები „შეაჭმევინა“. „ნარინჯისფერებმა“ 5:0 მოიგეს და სწორედ მაშინ აუძგერდათ გული აზიელებს ჰიდინკზე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ კორეა ყველაზე ადრე შეუდგა სამუნდიალო სამზადისს. ექვსი წლის წინ გაცხადდა კორეელთა ჩემპიონატის თანამასპინძლობის ამბავი და ჰოლანდიასთან ზემოთნახსენები მარცხი ავად ენიშნათ თაღარიგიან აზიელებს. ამიტომაც არცთუ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგეს — ნაკრებს სახალხო გმირი, ნაბუნდესლიგარი ბუმ კუნ ჩა ჩამოაშორეს და გუს ჰიდინკთან ხანგრძლივი მოლაპარაკება წარმატებით დაამთავრეს.

ახლა იმათზეც ვთქვათ, ვისი ეიმედება ჰიდინკს — პირველ რიგში დაცვის ბურჯის, გამოცდილი კაპიტნის მიუნგ-ბო ჰონგის. ამ კაცს სანაკრებო მაისურა 125-ჯერ მოურგია და თავისი საქმის ბეჯითად შემსრულებლად იცნობენ.

კორეელთა იმედი ფეხმარდ ვეტერან სუნ-ჰონგ ჰვანგსაც უკავშირდება. მუნდიალის მერე ფეხბურთს უნდა გამოვეთხოვო და ფუიცავ, ბოლოს თავაწეული დავტოვებ მოედანსო — დაჰპირდა ჰვანგი თანამემამულეებს. ჰიდინკის განკარგულებაშია, სახელიანი ბუმ კუნ ჩას შვილი დოო-რი ჩა. 21 წლის ფორვარდს ჰოლანდიელი, ალბათ, შეცვლაზე ათამაშებს.

თავის მხრივ უიმედოდ არც პოლონელები არიან. მათი მთავარი კაცი ემანუელ ოლისადებეა. შესარჩევ ეტაპზე რვა გოლის გამტანი გაპოლონელებული ნიგერიელი მეგოლე ჩინებულ ფორმაშია და დღეს მწვრთნელი პაველ კრიშალოვიჩს შეუწყვილებს.

წესით, ევროპელებს დაცვაშიც არ უნდა გაუჭირდეთ, რაკილა ბურჯად ორი შალკელი ტომაში ჰყავთ — ჰაიტომ და ვალდოხმა დაიქადნეს, ფეხმარდ აზიელებს ისე მოვლლით, არაფრის თავი აღარ ექნებათო. ჰიდინკს კი ამაზეც გამზადებული აქვს პასუხი — გამორიცხულია, ჩემი გუნდის რომელიმე ფეხბურთელი დაიღალოსო.

**ბაატა კვანტალიანი**

### ს. კორეა VS პოლონეთი

| ს. კორეა | | პოლონეთი |
|---|---|---|
| ჯინ-ჩურ ჩოი (187 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | ადამ მატიშეკი (191 სმ) |
| ჩუნ-სუ ლი (172 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | არკადიუშ ბაკი (176 სმ) |
| ვუნ-ჯა ლი (82 კგ), იუნგ-სუნგ ჩოი (82 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ადამ მატიშეკი (90 კგ) |
| ჩუნგ-სუ ლი (62 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | ემანუელ ოლისადებე (70 კგ) |
| სუნგ-ჰონგ ჰვანგი (49 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | რადოსლავ კალუჟნი (10 გოლი), ემანუელ ოლისადებე (10 გოლი) |
| მიუნგ-ბო ჰონგი (124) | ყველაზე მეტი თამაში | ტომაშ ვალდოხი (71) |
| 179.4 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 183.6 სმ |
| 73 კგ | საშუალო წონა | 78.04 კგ |
| 27. 1 | საშუალო ასაკი | 28.4 |
| ჩუნგ-სუნგ ლი (20 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | ემანუელ ოლისადებე (23 წლის) |
| სუნგ-ჰონგ ჰვანგი (33 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ადამ მატიშეკი (33 წლის) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. H ჯგუფი. №13**

## იაპონია — ბელგია

დღეს. საიტამა (იაპონია). „საიტამა სთედიუმ". 14.00

**სავარაუდო შემადგენლობები**

| იაპონია | ბელგია |
|---|---|
| კავაგუჩი, მაცუდა, მორიოკა, კ. ნაკატა, მიოინი, ინამოტო, ტოდა, ონო, ჰ. ნაკატა, ნიშიზავა, იანაგისავა | დე ფლიგერი, ვან ბუიტენი, დე ბოეკი, ვან კერკჰოვენი, პეეტერსი, ვანდერეგე, სიმონსი, ვალემი, გოორი, ვილმოტსი, ვერჰეინი |
| მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე | მწვრთნელი: რობერ ვასეჟი |

მსაჯი: უილიამ მატუსი (კოსტა რიკა)

# ცოლები შორს

**ალბათ,** ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი თამაში იქნება: ვერცხლისწყალივით მოძრავი, არცთუ დაოსტატებული თანამასპინძელი იაპონია შეუტევს, ბელგია კი... ბელგიის სტილიც კარგად ვიცით — ცხადია, მოწინააღმდეგის კონტრშეტევაზე დაჭერას ეცდება. ბელგიელები არ მალავენ, რომ იაპონელებთან შეხვედრა მათთვის ფრიად მნიშვნელოვანია, პირველი მატჩი, აქედან გამომდინარე სატურნირო განწყობა და მისთანები მსოფლიოს ჩემპიონატზე ძვირად ფასობს.

„წითელი ეშმაკუნები" (ბელგიელთა მეტსახელია) ტრავმებსაც შეუწუხებია, საპირველმატჩო განაცხადში კი მოხვდნენ, მაგრამ მთლად ჯანზე ვერ არიან ანდერლეხტელი გლენ დე ბოეკი და შალკელი ნიკო ვან კერკჰოვენი. ცენტრალურმა მცველმა დე ბოეკმა მარჯვენა ფეხი კოსტა რიკასთან ამასწინანდელ ამხანაგურ შეხვედრაში დაიზიანა, ხოლო ვან კერკჰოვენს გუშინწინდელ ვარჯიშზე თეძო უტკენია.

ბელგიელთა თავკაცი რობერ ვასეჟი კარგა ხანია, თავის კოლეგა ფილიპ ტრუსიეს იცნობს, კაცს, რომელმაც ბოლო დროს იაპონელებს ბევრი რამ ასწავლა: „ტრუსიე ჩინებულად მუშაობს — ამბობს ვასეჟი — მისი მონდომებით იაპონია სერიოზული გუნდი გახდა და ჩემპიონატზეც ბევრს გაამწარებს. მათი ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ დიდ ტურნირზე მონაწილეობის გამოცდილება აკლიათ. მოკლედ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, თუმცა შიშზე და კომპლექსებზე ლაპარაკი ზედმეტია."

სხვათა შორის, ვასეჟმა ფრანგთა ქცევა გააკრიტიკა და თავის ფეხბურთელებს მეტი თავდაჭერისკენ მოუწოდა: „ფრანგები ჩემპიონატის დროსაც კი ვერ ელევიან ცოლებსა და მეგობარ გოგონებს, ჩვენ კი მეტი სერიოზულობა და პროფესიონალიზმი გვმართებს, სჯობს, საქმეს მივხედოთ, ხომ შეიძლება, ცხოვრების რაღაც პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დღეები უქალებოდ გავატაროთ."

ეს თამაში იაპონელთათვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს, მათგან ხომ თანამემამულეები გმირობას ითხოვენ, თანაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჯერაც არ შეუგრძვნიათ გამარჯვების სიხარული — ამ დიდ შეჯიბრებაზე პირველად ოთხი წლის წინ მოხვდნენ და ჯგუფში სამივე თამაში წააგეს.

ტრუსიე დასძენს: „შემდგომ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდეთ, მაგრამ თუ ამას უხარისხო თამაშით მივაღწევთ, ქომაგები არ გვაპატიებენ. ახლა საშუალება მოგვეცა, მთელ მსოფლიოს დავანახოთ, იაპონური ფეხბურთის შესაძლებლობები. უზარმაზარ მხარდაჭერას ვგრძნობ და ვგებ, მეოთხედფინალსაც მივაღწიოთ".

მოკლედ, იაპონელები დიდ გულზე არიან, მაგრამ, აბა, ახლა ბელგიელებს ჰკითხეთ...

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS

რობერ ვასეჟი ომის დაწყებამდე ბელგიის პრინცესა მატილდამ ინახულა

## იაპონია VS ბელგია

| | | |
|---|---|---|
| ჰიტოში სოგაჰატა (186 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | დანიელ ვან ბუიტენი (196 სმ) |
| მიცუო ოგასავარა (172 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | იოჰან ვალემი (169 სმ) |
| უტაკა აკიტა (79 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | ერიკ ვან მეირი (89 კგ) |
| ჰიროაკი მორიშიმა (62 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | დენი ბოფინი (62 კგ) |
| მაკასი ნაკაიამა (21 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | მარკ ვილმოტსი (21 გოლი) |
| ჰიროაკი მორიშიმა (61) | ყველაზე მეტი თამაში | მარკ ვილმოტსი (66) |
| 178.6 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 183.1 სმ |
| 72.26 კგ | საშუალო წონა | 78.86 კგ |
| 25.27 | საშუალო ასაკი | 29.45 |
| დაისუკე იჩიკავა (22 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | უესლი სონკი (23 წლის) |
| მაკასი ნაკაიამა (34 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | დენი ბოფინი (36 წლის) |

**ბომბარდირები**

3 მიროსლავ კლოზე (გერმანია)

2 იონ დალ ტომასონი (დანია)
კრისტიან ვიერი (იტალია)

**წითელი ბარათი**

1 — ბორის ჟივკოვიჩი (ხორვატია), ალფაი ოზალანი (თურქეთი), ჰაქან უნსალი (თურქეთი)

**ყვითელი ბარათი**

2 — ჰაქან უნსალი (თურქეთი)

1 — ემანუელ პეტი (საფრანგეთი), ალიუ სისე (სენეგალი), იან ჰაინცე (დანია), მარტინ ლაურსენი (დანია), გუსტავო მენდესი (ურუგვაი), რაიმონ კალა (კამერუნი), ჯეისონ მაკატირი (ირლანდია), სტივ ფინანი (ირლანდია), სტივენ რიდი (ირლანდია), კრისტიან ციგე (გერმანია), დიტმარ ჰამანი (გერმანია), მოჰამედ ნოორი (საუდეთი), ვალტერ სამუელი (არგენტინა), დიეგო სიმეონე (არგენტინა), სოლ კემპბელი (ინგლისი), ჯეი ჯეი ოკოჩა... სოდჯე (ნიგერია), მარკუს ოლბოკი (შვედეთი), ანდრეას იაკობსონი (შვედეთი), ხულიო კარლოს კასერესი (პარაგვაი), დენის კანისა (პარაგვაი), რიკარდო ტავარელი (პარაგვაი), ხუან კარლოს ფრანკო (პარაგვაი), აარონ მოკოენა (სამხრეთ აფრიკა), პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა), ბენი მაკკარტი (სამხრეთ აფრიკა), სიბუსისო ზუმა (სამხრეთ აფრიკა), ხუან კარლოს ვალერონი (ესპანეთი), ამირ კარიჩი (სლოვენია), სებასტიან ციმეროტიჩი (სლოვენია), დენილსონი (ბრაზილია), ალფაი ოზალანი (თურქეთი), ფათიჰ აკიელი (თურქეთი), ფაბიო კანავარო (იტალია), აუგუსტო პოროსო (ეკვადორი), ულისეს დე ლა კრუზი (ეკვადორი), კლებერ კალა (ეკვადორი)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# შიშმდო იმედზე ლაპარაკობს

**იმზარ ზენაიშვილი**
საგანგებოდ „სარბიელისთვის"
ულსანიდან



**ძალზე** დაღლილი და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, თანაც „აეროფლოტის" სერვისის გამოისობით ნერვებდაწყვეტილს, სეულის ახლახან გახსნილ-გაწკრიალებულ „ინჩონის" აეროპორტშივე სამჯერ შემეფეთა ქართული თემა. ჯერ იყო და, კორეის ოლიმპიური კომიტეტიდან დამხვდურმა ქართული სპორტის საკმაო ცოდნა გამოამჟღავნა.

ბარგის ლოდინსა და საუბარში ვიყავით გართულნი, ქართული ლაპარაკი რომ შემომესმა. ერთი რესპექტაბელურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გახლდათ, მეორე კი მასზე გაცილებით უფროსი. გავესაუბრე. ხანშიშესულმა, ეს ელჩია კორეაში, მე კი მისი მამა ვარო და ჩემს ოდნავ შეყოვნებაზე (საქართველოს ხომ ელჩი არ ჰყავს კორეაში) უმალ მიპასუხა — რუსეთის ელჩია, რამიშვილები ვართო.

უკვე ავტობუსში ვზივარ, კორეელები ლიმუზინს რომ ეძახიან. გვერდით სავარძელში მჯდომმა, ენაწყლიანობა რომ ეტყობოდა, თანაც ძალზე ხმამაღლა იცინოდა, საქართველო რომ ვუხსენე, ჯორჯ ქინქლაძეო, მიპასუხა. ადრე მანჩესტერში ვმუშაობდი და „სიტის" თამაშს არ ვტოვებდიო. თავად კანადელი გახლდათ, ამჟამად ტოკიოში მომუშავე. გამიმართლა, ხუთი ბილეთი სამი ათას დოლარად შევიძინე, მართალია, ფინალი არ შედის, მაგრამ, სამაგიეროდ, გახსნის მატჩია ამ პაკეტში შეტანილიო — თავს იმშვიდებდა.

რადგანაც ბილეთები ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ წინა მუნდიალთან შედარებით მათზე აქ არავითარი აჟიოტაჟი არ იგრძნობა, სეულის სტადიონის სიახლოვეს ვერც გადამყიდველთა სიმრავლეს შენიშნავთ. მხოლოდ ერთ ჯგუფს, 4-5 ახალგაზრდას მოვკარი თვალი, შიშნარევი გამოხედვით კლიენტების ძებნაში რომ იყვნენ. თავიდან უცხოელთან საუბარს მოერიდნენ, შემდეგ ინგლისურად მოლაპარაკესაც მოუხმეს და მამცნეს — ჩვენ პირველი კლასის ბილეთები გვაქვს და ძვირიაო. რამდენი-მეთქი, ჩავეძიე — 400-დან 500 დოლარამდეო. პირველ მატჩზე ფასები, აბა, ოთხი წლის წინ პარიზში გენახათ — 3-4-ჯერ უფრო ძვირი გახლდათ. ოლიმპიურ თამაშებს თუ გავიხსენებთ, ატლანტაშიც და სიდნეიშიც 1500-2000 დოლარს აღწევდა.

ისე მოხდა, რომ პირველმა გასვლამ ულსანში მომიწია, სეულიდან სამხრეთით, დაახლოებით ოთხასი კილომეტრის დაშორებით. დიდი არჩევანი არც მქონია — თვითმფრინავი ძვირი ღირს, მატარებლით მგზავრობა მოუხერხებელია და ავტობუსი შემრჩა. „გაგვიმართლა, დღეს შაბათია, ტრასაზე საცობები არ უნდა იყოს და, ალბათ, ხუთ საათში ჩავალთ" — მეუბნება პოლონელი კოლეგა. ხუთიც არ მოუნდა, ასეთ ტრასაზე და ასეთი ავტობუსით, რამე რომ იყოს, კაცი თბილისშიც ჩამოვიდოდა...

ულსანს განსაკუთრებული ადგილი უკავია კორეის ეკონომიკურ რუკაზე. 60-იან წლებში სწორედ აქ შეიქმნა მძლავრი სამრეწველო კომპლექსი მსოფლიოში უდიდესი გემთსაშენით. კორეის ინდუსტრიის თითქმის თხუთმეტი პროცენტი სწორედ ამ ქალაქზე მოდის. მილიონნახევრიანი ქალაქი ყოველწლიურად ამდენივე „ჰიუნდაის" მარკის ავტომანქანასაც უშვებს.

ულსანს ახალგაზრდობისა და ოცნებების ქალაქსაც უწოდებენ — მცხოვრებთა საშუალო ასაკი 30-ს ოდნავ აჭარბებს. ამავე დროს ქალაქი კორეის საფეხბურთო მექაცაა: უმაღლეს ლიგაში „ჰიუნდაის ვეფხვები" ჰყავს, კიდევ 200-მდე მოყვარულთა კლუბია, ქვეყნის ორმოცამდე გუნდი კი აქ ატარებს საწვრთნელ შეკრებებს.

„ულსან მუნსუ სთედიუმი" კი ოდნავ მკაცრ კლასიკურ სტილშია ნაგები. მუნდიალის სხვა ცხრა კორეულ სტადიონთან შედარებით, იგი ყველაზე ადრე, შარშან აპრილში გაიხსნა და მაყურებელთა ტევადობით მათ შორის მეხუთე ადგილზეა.

ფეხბურთის გურმან „სარბიელის" მკითხველს კი შაბათის დანია — ურუგვაიზე პირადი შთაბეჭდილებებით ახლა თავს აღარ შევაწყენ, ის კი აუცილებლად მინდა გითხრათ, რაც ამ მატჩის შემდეგ მენიშნა. წაგებულ ურუგვაელთა მწვრთნელმა ვიქტორ პუამ პრესკონფერენციაზე იხტიბარგაუტეხლად განაცხადა, ჩვენ კარგად ვითამაშეთ, დანიელებმა კი მომენტები გამოიყენეს უკეთ. იმედს არ ვკარგავთო...

აი, ეს არის სწორედ ნიშანდობლივი — ჯერჯერობით იმედი ყველას აქვს.



REUTERS

ურუგვაის ულსანში ურუგვაელების ქომაგობა არ მოჰკლებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 1,2,3 ივნისი გია ახვლედიანი

# პითონი დაიძრა

## ერიდეთ ქალს და ვან გაალს



თურქთა მენეჯერმა ჯომანოღლუმ მაჭებს ნამუსი შეახსენა

**თურქები** თავიდანვე აღშფოთებულები იყვნენ, ბრაზილიელთა გუნდის მრჩეველი ქილსონ ნუნიესი ჩვენს დახურულ ვარჯიშზე შემოიპარა და გვაკვირდებოდაო. თბილისელებმა რომ გონება დაძაბონ, ამ ჟილსონს იოლად გაიხსენებენ, 1985 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თბილისში ჩამოსულ საუდის არაბეთის გუნდს წვრთნიდა. თურქთა მენეჯერმა ჯომანოღლუმ სკოლარის ძმაკაცის საქციელს უნამუსობა უწოდა.

ნუნიესმა რას უთვალთვალა ძნელი სათქმელია, ბრაზილიელებმა კი კორეელ მსაჯ კიმ იონგ-იოზე მაგიურად იმოქმედეს როგორც ბრაზილიელებმა, როგორც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა და როგორც ფეხბურთის ჯადოქრებმა.

საბრალო კორეელი მათი დიდი საფეხბურთო ავტორიტეტის ტყვეობაში იყო და სხვა რომ ალარაფერი ვთქვათ, ისიც კი ვერ გაბედა, რომ ცოცხალი კედელი დაეყენებინა საჭირო მანძილზე.

„დიდი ფილი" კი მართლაც ბევრ ისეთ რამეს ავალებს თავის ფეხბურთელებს, რომ ჩვეულებრივ წესიერ კაცად ცნობილმა რივალდომაც მსახიობობა გადაწყვიტა.

თურქები ახლა უფრო აღშფოთებულები არიან, ვიდრე თამაშის წინ, მაგრამ დენილსონს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. სკოლარი კი ძალიან ჩვეულებრივი მწვრთნელია სანაკრებო ამბისთვის. ხელების ქნევა და ღრიალი რომ არ უყვარდეს, ვერც კი შეამჩნევდით.

წინა დილით კი გამოვიდა სვენ გორან ერიკსონი და მუსიკა ჩართო. ასე უთქვამს, ზოგჯერ მუსიკა მეტს ამბობს, ვიდრე სიტყვაო. ჩაურთავს „აბბას" სიმღერა „მოცეკვავე დედოფალი". „აბბა" შვედური ჯგუფია და სვენიც შვედია, ოღონდ „აბბა" ინგლისელი ფეხბურთელებისთვის ჩართო, თუმცა რა გამოვიდა ამ საქმიდან, ყველამ იცის.

ინგლისელებმა შვედის ხელქვეით ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარეს და თურმე გასახდელში ამბობდნენ, ეს რა მოგვივიდა, როგორ წავაგეთო. სვენი კი არწმუნებდა, ფრე იყო, ჩემს ხელში თქვენ ოფიციალური თამაში არ წაგიგიათო. უცნობია, რა უპასუხეს ფეხბურთელებმა, ეგებ ისიც უთხრეს, არ წაგვიგია და ახლა წავაგებთო, თუმცა სოლ კემპბელმა სახალხოდ განაცხადა: ის, რომ შვედებს ვერ მოვუგეთ მეტ ინტერესს შესძენს არგენტინასთან შეხვედრას. იქ უკვე მართლა დიდი ბრძოლა მოგველის. ჩვენ არაფერი დაგვიწყებია და გუნდშიც რამდენიმე ისეთი კაცია, ვინც ოთხი წლის წინათ გამწარდაო.

არგენტინაო...

დიახ, ჯერჯერობით არგენტინა — დიდი, ღონიერი და მოქნილი პითონი, რომელმაც ისე მოგუდა და გადაყლაპა ნიგერიის ნაკრები, რომ მისგან მხოლოდ ტარიბო ვესტის კიკინები დარჩა.

არგენტინა ძალიან ჰგავს სვენ გორან ერიკსონის დროინდელ „ლაციოს", თუმცა რას ჰგავს ერიკსონის ინგლისი ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ამაზე ისევ არგენტინამ უნდა გაგვცეს პასუხი.

ახლა კი საუდელთა ბანაკში შევიჭყიტოთ, სადაც ამ ქვეყნის სამეფო ოჯახის უფლისწულები უფროსობენ. დელეგაციის ხელმძღვანელმა, უფლისწულმა ბენ-ხალედმა ჟურნალისტებს განუცხადა, გუნდის ყოველ წევრს, ტექნიკურ მუშაკს და მოხელეს გამოვკითხე, როგორი იქნება საუდელთა შედეგი ჯგუფური ეტაპის შემდეგო.

საბრალოებს, ალბათ, უნდა ეპასუხათ, თავს დავდებთ, ლავრენტი პავლოვიჩო. ასე უპასუხა ოდესღაც თბილისის „დინამოს" კომორგმა, ზღაპრულმა გარემარბმა გაიოზ ჯეჯელავამ ლავრენტი ბერიას ერთი მნიშვნელოვანი მოსკოვური თამაშის წინ. მაგრამ ჯეჯელავამ და მისმა ამხანაგებმა თავდადებასთან ერთად თამაშიც საუცხოოდ იცოდნენ, რასაც საუდელებზე ვერ ვიტყვით.

„მათემატიკური გამოთვლით კვლავ შეგვიძლია ჯგუფიდან გასვლა — უთქვამს უფლისწულს — ახლა დამნაშავის ძებნის დრო არ არის. ახლა კამერუნი უნდა დავამარცხოთ."

თუმცა, საუდ ჟურნალისტებს უკვე უპოვიათ მთავარი დამნაშავე, საბრალო მწვრთნელი ნასერ ალ-ჯოპარი. ამ კაცის ხელქვეითებმა გამორჩეულად ვერ დაიცვეს საჯარიმო მოედნის ერთი წერტილი, საიდანაც გერმანელებმა რვიდან ექვსი გოლი გაუტანეს.

ისე როგორც არსენ ვენგერი, ჟერარ ულიეც აცხადებს, რომ გახსნის თამაშში დამარცხებული ფრანგები მაინც გავლენ ჯგუფიდან, თან კი „ლივერპულისთვის" იმ კაცს ითრევს, ვინც მარსელ დესაი და ფრანკ ლებეფი ჯვარს აცვა — იმავე საღამოს, როცა ელ-ჰაჯი დიუფმა დრიბლინგით გადალახა ფრანგული ფლანგები, მას წინასწარ კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი მერსისაიდელმა სკაუტებმა. ეს იმ საღამოს მოხდა, როცა მარცხით ნირწამხდარი დავიდ ტრეზეგე და მისი გელფრენდი კორეულ რესტორანში წავიდნენ ვახშმად.




დავიდ ტრეზეგე ჯერჯერობით ცოლის მშვენიერებით თუ მოიწონებს თავს

ეძიეთ ქალიო, იტყვიან ფრანგები, თუმცა, ჯერაც მსოფლიოს ჩემპიონებს საძებარი არაფერი აქვთ, ისინი სავარჯიშოდაც კი ცოლ-ნაშეულის თანხლებით დაიარებიან, რის წინაალმდეგაც უკვე გაილაშქრა გუნდის ბრძენმა ექიმმა ჟან მიშელ ფერემ. მოგვაშორეთ ეს ქალებიო, ამბობს ეს კაცი.

ჩვენი ფიქრით კი დედაწულიანად დაძრული ფრანგთა ნაკრები, განთქმულ ჯეჯუს სასტუმროში უნდა დაბინავებულიყვნენ. ეს არის ხმელთაშუაზღვური ყაიდის პირველი სამოთხე კორეაში, საგანგებოდ თაფლობის თვისათვის გაწყობილი ნომრებით. რატომღაც ამ სასტუმროში ფრანგები კი არა, უცოლო ინგლისელები ცხოვრობენ, რომლებიც ამბობენ, ჩვენს ნომრებში ავეჯეული და გარემო ისეთია, წარამარა უქალობა გახსენდებაო.

ფრანგის ქალები ერთ კვირაში შინ ბრუნდებიან, თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, ულიეს ნათქვამი არ გამართლდება და ქმრებიც მათთან ერთად გაბრუნდებიან შინ.

სენეგალის პრეზიდენტმა აბდულაი ვადემ კი განაცხადა: „ეს იმას ჰგავს, მოსწავლე რომ კარგად ისწავლის და მერე მასწავლებელს აჯობებს. აფერუმ!"

და თვალს არავინ გაკლიათ?

რა თქმა უნდა, გაკლიათ. ჰოლანდიის ნაკრები. ახლა კორეაშია გულდამწვარი მარკო ვან ბასტენი, რომელიც ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ლუის ვან გაალის კრიტიკით გვახსენებს, რომ მისი ქვეყანა ღირსი იყო აზიაში თამაშისა: „ვან გაალი თეორიებით გატაცებული კაცია. მას ნაკრებში არასოდეს უთამაშია და ამიტომ ნაკრების მართვისა არაფერი გაეგება. თეორიები და ფილოსოფია ნაკრებს არაფერში სჭირდება. ვან გაალი ძალიან ჰგავს არიგო საკის, რომელმაც იმდენი იფილოსოფოსა, რომ კრახი განიცადა. საკი გულისგამწვრილებელ ლექციებს გვიტარებდა „მილანში". ათასჯერ გვიმეორებდა ერთსა და იგივეს, ვან გაალმაც ასე იცის."

საპოროში კი დაცვის პოლიციამ სტადიონზე არ შეუშვა რვა თვის ბავშვი, ბილეთი არ აქვსო. მამის ყვირილმა, ეს ბილეთები მაშინ ვიყიდე, როცა დაბადებულიც არ იყოო, არ გაჭრა. ისე კი, რა უნდა რვა თვის ბავშვს სტადიონზე, ეტყობა, დამტოვებელი არ ჰყავდათ.

რა „კუკლა" გუნდია დანია და რა ყოველთვის ერთნაირად დამარცხებულია ურუგვაი. რა უცნაური კაცია ლუბოშ მიხელი, რომელსაც ან ორი პენალტი უნდა დაენიშნა, ან არც ერთი და



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ლუიზაოს წიქცევა შეუქო

რა ძნელია, იტალიელმა მოხუცმა დისციპლინას შეაჩვიოს პარაგვაელი ყმაწვილები.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ როდისღა თამაშობს პორტუგალია, ივლისში?

და საერთოდ, რატომაა შემოსაზღვრული საჯარიმო მოედანი თეთრი ხაზებით, იმიტომ ხომ არა, რომ იმ ხაზს შიგნით ჯარიმისთვის ინიშნება პენალტი?



მარსელ დესაის (№8) ელ-ჰაჯი დიუფთან გამკლავება პრემიერლიგაშიც მოუხდება

## საგანგებო ლოზუნგი

### შვედი, მაინც შვედია! რივალდო მაინც რივალდოა?



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი.** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 14.00 | 113 | იაპონია-ბელგია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.30 | 114 | კორეა-პოლონეთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |
| 16:30 | 117 | გერმანია-ირლანდია | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 16:30 | 118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 14:00 | 119 | კამერუნი-საუდეთი | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,05 | 3,5 |
| 11:30 | 120 | დანია-სენეგალი | 2,2 | 2,8 | 3,3 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 11:30 | 121 | შვედეთი-ნიგერია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 14:00 | 122 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 16:30 | 123 | არგენტინა-ინგლისი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 11:30 | 124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **ჰოკეი.** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 04.00 | 511 | დეტროიტი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 4,4 | | | |
| | | **კრივი.** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 901 | ლუისი-ტაისონი | 1,35 | 20,0 | 2,5 | | | |
| | | **ნოკაუტით მოგება.** | | | | | | |
| 23:45 | 902 | ლუისი-ტაისონი | 1,55 | —— | 2,9 | | | |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1009 | ხორვატია-მექსიკა | 2,8 | 2,0 | 3,5 |
| 14.00 | 1010 | ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 2,3 | 7,0 |
| 16.30 | 1011 | იტალია-ეკვადორი | 1,8 | 2,2 | 8,0 |
| | | **4 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,4 | 2,1 | 2,7 |
| 14.00 | 1013 | იაპონია-ბელგია | 3,1 | 2,0 | 3,2 |
| 16.30 | 1014 | კორეა-პოლონეთი | 3,2 | 2,0 | 3,1 |
| | | **5 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| 16:30 | 1017 | გერმანია-ირლანდია | 2,4 | 2,0 | 4,4 |
| | | **6 ივნისი** | | | |
| 16:30 | 1018 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,75 | 2,3 | 7,0 |
| 14:00 | 1019 | კამერუნი-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 |
| 11:30 | 1020 | დანია-სენეგალი | 2,6 | 2,0 | 3,8 |
| | | **7 ივნისი** | | | |
| 11:30 | 1021 | შვედეთი-ნიგერია | 2,8 | 2,0 | 3,5 |
| 14:00 | 1022 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,9 | 2,3 | 5,6 |
| 16:30 | 1023 | არგენტინა-ინგლისი | 2,6 | 2,0 | 3,8 |
| | | **8 ივნისი** | | | |
| 11:30 | 1024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,4 | 2,0 | 2,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2013 | იაპონია-ბელგია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2014 | კორეა-პოლონეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2015 | რუსეთი-ტუნისი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2016 | აშშ-პორტუგალია | 1,85 | 1,65 |
| 16:30 | 2017 | გერმანია-ირლანდია | 1,55 | 2,0 |
| | | **6 ივნისი** | | |
| 16:30 | 2018 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,8 | 1,7 |
| 14:00 | 2019 | კამერუნი-საუდეთი | 2,2 | 1,45 |
| 11:30 | 2020 | დანია-სენეგალი | 1,7 | 1,8 |
| | | **7 ივნისი** | | |
| 11:30 | 2021 | შვედეთი-ნიგერია | 1,6 | 1,9 |
| 14:00 | 2022 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16:30 | 2023 | არგენტინა-ინგლისი | 1,75 | 1,75 |
| | | **8 ივნისი** | | |
| 11:30 | 2024 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,75 | 1,75 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი - არა |
|---|---|---|---|
| | | **4 ივნისი** | |
| 11.30 | 2112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,65 - 1,85 |
| 14.00 | 2113 | იაპონია-ბელგია | 1,6 - 1,9 |
| 16.30 | 2114 | კორეა-პოლონეთი | 1,7 - 1,8 |
| | | **5 ივნისი** | |
| 11.30 | 2115 | რუსეთი-ტუნისი | 1,8 - 1,7 |
| 14.00 | 2116 | აშშ-პორტუგალია | 1,75 - 1,75 |
| 16:30 | 2117 | გერმანია-ირლანდია | 1,75 – 1,75 |
| | | **6 ივნისი** | |
| 16:30 | 2118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 2,0 – 1,55 |
| 14:00 | 2119 | კამერუნი-საუდეთი | 2,0 – 1,55 |
| 11:30 | 2120 | დანია-სენეგალი | 1,75 – 1,75 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **4 ივნისი** | |
| 11.30 | 2212 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 2,1 - 1,75 |
| 14.00 | 2213 | იაპონია-ბელგია | 1,85 - 1,95 |
| 16.30 | 2214 | კორეა-პოლონეთი | 1,95 - 1,85 |
| | | **5 ივნისი** | |
| 11.30 | 2215 | რუსეთი-ტუნისი | 1,5 - 2,6 |
| 14.00 | 2216 | აშშ-პორტუგალია | 3,8 - 1,25 |
| 16:30 | 2217 | გერმანია-ირლანდია | 1,5 – 2,6 |
| | | **6 ივნისი** | |
| 16:30 | 2218 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,25 – 3,8 |
| 14:00 | 2219 | კამერუნი-საუდეთი | 1,15 – 4,7 |
| 11:30 | 2220 | დანია-სენეგალი | 1,75 – 2,1 |
| | | **7 ივნისი** | |
| 11:30 | 2221 | შვედეთი-ნიგერია | 1,75 – 2,1 |
| 14:00 | 2222 | ესპანეთი-პარაგვაი | 1,35 – 3,2 |
| 16:30 | 2223 | არგენტინა-ინგლისი | 1,75 – 2,1 |
| | | **8 ივნისი** | |
| 11:30 | 2224 | ს.აფრიკა-სლოვენია | 1,95 – 1,85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ივნისი** | | | |
| 11:30 | 2912 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14:00 | 2913 | იაპონია-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2914 | კორეა-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **5 ივნისი** | | | |
| 11:30 | 2915 | რუსეთი-ტუნისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14:00 | 2916 | აშშ-პორტუგალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2917 | გერმანია-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **6 ივნისი** | | | |
| 11:30 | 2918 | საფრანგეთი-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14:00 | 2919 | კამერუნი-საუდეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2920 | დანია-სენეგალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **7 ივნისი** | | | |
| 11:30 | 2921 | შვედეთი-ნიგერია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 14:00 | 2922 | ესპანეთი-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16:30 | 2923 | არგენტინა-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **8 ივნისი** | | | |
| 11:30 | 2924 | ს.აფრიკა-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

I ადგილი ჯგუფში
რა ეტაპზე გავა გუნდი
რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი
რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი
რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია
რამდენი გოლი გავა სულ ჩემპიონატში (ძირითადი დრო)
რამდენ გოლს გაიტანს ძირითად დროში ჩემპიონატის მანძილზე
ბომბარდირი
საუკეთესო ფეხბურთელი

**იხილეთ ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ახალციხე. ნათენაძის №7**

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

# კროკო

**ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს**

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 14.00 | 1113 | იაპონია-ბელგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1114 | კორეა-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |
| 16:30 | 1117 | გერმანია-ირლანდია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 ივნისი** | | | | | | | | | |
| 16:30 | 1118 | საფრანგეთი-ურუგვაი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 10,0 |
| 14:00 | 1119 | კამერუნი-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 5,3 | 18,0 | 40,0 | 20,0 | 18,0 |
| 11:30 | 1120 | დანია-სენეგალი | 3,4 | 8,0 | 20,0 | 4,4 | 4,0 | 6,5 | 20,0 | 8,0 | 4,7 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11:30 | 1121 | შვედეთი-ნიგერია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 14:00 | 1122 | ესპანეთი-პარაგვაი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 16:30 | 1123 | არგენტინა-ინგლისი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11:30 | 1124 | ს.აფრიკა-სლოვენია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |

NBA PLAYOFFS — პლეი ოფი კონფერენციების ფინალები
ოთხ მოგებამდე

# ვინა თქვა, შაკი პირშავიაო?!

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 |
| ბოსტონი | 2 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| საკრამენტო | 3 |
| ლეიკერსი | 4 |

31 მაისი

**ბოსტონი 88:96 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი: ანდერსონი (18), უოლკერი (18), პირსი (14), სტრიკლენდი (14)**
**ნიუ ჯერსი: მარტინი (16), კიდი (15 ქულა, 13 მოხსნა, 13 პასი), ჯეფერსონი (15)**

სერიაში 3:2 უპირატესობით, მაგრამ ერთობ უხალისოდ კი ჩავიდნენ ნიუჯერსელები ბოსტონში, სადაც თამაში მათთვის სულაც არაა სიამოვნება, განსაკუთრებით მათ თეთრ ლიდერ ჯეისონ კიდისთვის. კიდს ყოველთვის უჭირს იქ, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც 19 ათასი ადამიანი ყოველ წუთს ახსენებს, რომ ოდესღაც ცოლი გაულახავს. მაგრამ კიდს და მისიანებს ბოსტონში თამაშზე მეტად საქმის მეშვიდე მატჩამდე მიყვანა არ სურდათ, ამიტომ თავი გამოიდეს, პირველი ტაიმის 44:54 წაგების შემდეგ ძალიან ყოჩაღად აბურთავდნენ და სერია ბოსტონშივე დაასრულეს.

კიდმა 15 ქულა, 13 მოხსნა და 13 პასი გააკეთა და უილტ ჩემბერლენის და ოსკარ რობერტსონის შემდეგ ნბა-ს ისტორიაში მესამე მოთამაშე გახდა, ვინაც ერთ სერიაში სამჯერ შეასრულა სამმაგი დუბლი. ხოლო მისი „ნიუ ჯერსი" ნბა-ში ბინადრობის 36 წლის განმავლობაში პირველად გავიდა პლეი ოფის ფინალში.



REUTERS საკრამენტოდან

შაკილ ონილის დევურ მხარ-მკლავთან ყოჩაღი „საკრამენტოც" ვერას გახდა

31 მაისი

**ლეიკერსი 106:102 საკრამენტო**

**ლეიკერსი: ონილი (41 ქულა, 17 მოხსნა), ბრაიანტი (31 ქულა, 11 მოხსნა)**
**საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), ბიბი (23)**

2 ივნისი

**საკრამენტო 106:112 ლეიკერსი**

ძირითადი დრო 100:100

**საკრამენტო: ბიბი (29), ვებერი (20 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)**
**ლეიკერსი: ონილი (35 ქულა, 13 მოხსნა), ბრაიანტი (30 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)**

„ბოსტონმა" ვერ გააღწია დიდ ფინალში და კალათბურთის რომანტიკულად განწყობილი ქომაგიც ველარ იხილავს „ბოსტონ" — „ლეიკერსის" 60-იანი და 80-იანი წლების კლასიკური ბრძოლების გაგრძელებას. სამაგიეროდ, ხალხი დატკბა ფინალამდელმა უდრამატულესმა რკინამ „ლეიკერსსა" და „საკრამენტოს" შორის.

უძლეველი „ლეიკერსი" ბოლო ორი წელია, მარცხთან ახე ახლოს არ ყოფილა და, ალბათ, ზედიზედ მესამე ჩემპიონობას გამოეთხოვებოდა, მთელი პლეი ოფის განმავლობაში ინერტულად მობურთალ შაკილ ონილს თავი რომ არ გამოედო. დიდ შაკს მეექვსე თამაშშილა გაახსენდა ლიგის უძლიერესი მოთამაშე რომაა (თავად თვლის ასე) და გადაწყვიტა, ეს ხალხისთვისაც შეეხსენებინა, მშვენივრადაც მოახერხა. მისმა ჯერ 41-მა შემდეგ კი 35 ქულამ სულზე მიუსწრო „საკრამენტოსაგან" გაწამებულ „ლეიკერსს" და ზედიზედ მესამე ფინალისკენაც გზა გაუკაფა.

საკრამენტოელი „მეფეები" გმირულად ებრძოდნენ ლევშაკს და მის რაზმს, მაგრამ გმირულადვე დაეცნენ ბრძოლის ველზე.

ეს იყო ზედიზედ 23-ე მოგებული საპლეიოფო სერია „ლეიკერსის" თავკაც ფილ ჯექსონისთვის.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ფინალი 5 ივნისიდან
## ლეიკერსი VS ნიუ ჯერსი



ჯირო 2002

# ჯირო დ ჰრიმინალე დამთავრდა

Giro d'Italia

**გამარჯვებული** ბოლოსწინა, მე-19 ეტაპზე ინდივიდუალურ რბოლაში უნდა გარკვეულიყო. და რადგან რბოლის ამ სახეობაში მარტო რჩები კილომეტრებთან და წუთებთან, რადგან ვერანაირად ვერ დაგეხმარებიან თანაგუნდელები, ყველაფერი იმაზეღაა დამოკიდებული, ენერგიის რა მარაგი შეგრჩა იმ მომენტისთვის, როცა უკან დარჩა 3 000 კილომეტრი. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე უნდა გამოჩენილიყო თეთრიცა და შავიც.

პაოლო სავოლდელი 55 წამს უგებდა კაუჩოლის, 1 წუთსა და 28 წამს ამერიკელ ჰამილტონს. ამოცანა მარტივი იყო — ამაზე მეტი არ უნდა წაეგო 44 კილომეტრიან ტრასაზე.

იტალიელმა მრბოლმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა სათქმელად და საანგარიშოდ მარტივი, მაგრამ შესასრულებლად არცთუ იოლი ამოცანა. კაუჩოლის წუთზე მეტი მოუგო, ჰამილტონს (იგი ინდივიდუალური რბოლების სპეცია) კი — 13 წამი.

ბოლო, მე-20 ეტაპს, რომლის ფინიში, ტრადიციულად, მილანში იყო, ალარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. ჯგუფურ ფინიშზე საოცარი სპურტით უბერებელმა მარიო ჩიპოლინიმ რიგით მეექვსე ეტაპი მოიგო, 2002 წლის ჯირო დ იტალიის გამარჯვებული კი პაოლო სავოლდელი გახდა.

**რბოლის საბოლოო შედეგი**

1. პაოლო სავოლდელი (იტალია, ინდექსი) 48 საათი, 22 წუთი, 42 წამი
2. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, სიესსი) +1 წუთი, 41 წამი
3. პიეტრო კაუჩოლი (იტალია, ალესიო) + 2 წუთი, 12 წამი



REUTERS მილანიდან

პაოლო სავოლდელიმ ჯირო შამპანურით დაამთავრა



NHL — სტენლის თასი ნახევარფინალი
ოთხ მოგებამდე



REUTERS დეტროიტიდან

პატრიკ რუამ მოედანი ყვანჯამოძულებულმა დატოვა

# წმინდა პატრიკის ნამეხის დღე

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 4 |
| კოლორადო | 3 |

31 მაისი

**დეტროიტი 7:0 კოლორადო 4:0 2:0 1:0**

**1:0 ჰოლმსტრომი (2), 2:0 ფიოდოროვი (4), 3:0 რობიტაილი (11), 4:0 ჰოლმსტრომი (13), 5:0 შალი (25), 6:0 ოლაუსონი (27), 7:0 დაციუკი (57)**

მეკარეთაგან ერთ-ერთმა ყველაზე დამსახურებულმა და სახელიანმა, პატრიკ რუამ კარიერის მიწურულს კიდევ ერთი თასის მოპოვება განიზრახა და ამას ბევრი რამ შესწირა, ოლიმპიადაზეც კი არ წავიდა, რათა პლეი ოფს კარგ ფორმაში შეხვედროდა. და აი, დაუდგა ეს ნანატრი და მოულოდნელი დღეც, მაგრამ ვაი, რომ ეს საოცნებო თამაში კოლორადოს სახელგავარდნილ კარისკაცს სრულ კოშმარად ექცა მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ „წმინდა პატრიკი" ერთი ჩვეულებრივი მოკვდავია და შეცდომებისგან დაზღვეული სულაც არ არის.

სასტიკი მოწინააღმდეგე კი არაფერს დაგიღევდათ და ლამის პირველივე შეტევა გოლად აქცია. ტომას ჰოლმსტრომმა ვარდნაში რაღაცნაირად მოახერხა, შაიბისთვის მიმართულება შეეცვალა და რუა გაეხევებინა. მეორე შაიბა კი პატრიკის ხინდისზეა. სერგეი ფიოდოროვმა არცთუ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ შაიბა პატრიკს იდლიაში გაუძვრა და უკვე მე-4 წუთზე კოლორადომ მარცხს ჩახედა თვალებში.

ამ ნოკდაუნის შემდეგ ვერც რუა მოეგო გონს და ვერც მისი გუნდი. მასპინძლებმა პირველივე პერიოდში მოითავეს საქმე. საბრალო რუა მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ ერთ ხანს კიდევ აწვალა, და მხოლოდ ექვსი შაიბის შემდეგ მიხვდა, რომ ტანჯულა მეკარე შესაცვლელი იყო.

ასე სძლია დეტროიტმა თავის მთავარ კონკურენტს და, ბევრის აზრით, პრაქტიკულად დაეუფლა სტენლის თასს: დეტროიტს ელის ფინალი კოლორადოზე გაცილებით სუსტ კაროლინასთან. პირველი მატჩი სამშაბათს, 4 ივნისს გაიმართება.

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ ელგუჯა კანდელაკს შვილის **გივი კანდელაკის** გარდაცვალების გამო



როლან გაროსი 2002
საფრანგეთის ღია პირველობა

პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო

# ჰიუიტმა კლაისტერსს უყუროს, კუერტენმა — ფეხბურთს

**ვაჟები**

**მესამე წრე**

1 ივნისი

**ანდრე აგასი (4, აშშ)** — ტომი რობრედო (25, ესპანეთი) 6:2, 6:4, 6:2; **მარატ საფინი (2, რუსეთი)** — დავიდ ნალბანდიანი (29, არგენტინა) 6:3, 6:3, 3:6, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (11, ესპანეთი)** — გილერმო კორია (არგენტინა) 6:2, 6:3, 6:3

**მეოთხე წრე**

2 ივნისი

**ალბერტ კოსტა (20, ესპანეთი)** — გუსტავო კუერტენი (7, ბრაზილია) 6:4, 7:5, 6:4; **გილერმო კანასი (15, არგენტინა)** — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:7 (1:7), 7:6 (15:13), 6:4, 6:3; **ანდრეი პავილი (22, რუმინეთი)** — ტომი ჰაასი (3, გერმანია) 6:1, 7:6 (11:9), 6:4;

**ქალები**

**მესამე წრე**

1 ივნისი

**ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ)** — ევა დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:3, 6:1; **ელენა დოკიჩი (7, იუგოსლავია)** — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:3; **სერენა უილიამსი (3, აშშ)** — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:3; **მარი პირსი (საფრანგეთი)** — ანიკო კაპროში (უნგრეთი) 6:3, 6:0

**მეოთხე წრე**

2 ივნისი

**კაპრიატი** — პატი შნიდერი (20, შვეიცარია) 6:4, 6:4; **ვინუს უილიამსი (2, აშშ)** — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 6:2; **სერენა უილიამსი** — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 4:6, 6:0, 6:1; **მონიკა სელეში (6, აშშ)** — დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) 6:4, 7:5; **ელენა დოკიჩი (7, იუგოსლავია)** — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:6 (7:3), 6:2; **მარი პირსი (საფრანგეთი)** — სილვია ფარინა ელია (9, იტალია) 6:1, 6:2; **პაოლა სუარესი (არგენტინა)** — ამელი მორესმო (10, საფრანგეთი) 6:2, 2:6, 6:4

გასულ უქმეებზე უმთავრესი ამბები მაინც კაცთა მხარეზე მოხდა, სადაც ტურნირს მეჯრით გამოაკლეს მსოფლიოს პირველი მჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი და სამგზის მეროლანგაროსე, ტიტულის დამცველი გუსტავო კუერტენი.

ჭაბუკი ავსტრალიელი, ვინაც პარიზულ მეოთხედფინალს ერთხელაც არ გასცილებია, არგენტინელმა გილერმო კანასმა აოტა. ეს უაღრესად დრამატული შეხვედრა 4 საათსა და 13 წუთს გაგრძელდა. შესამჩნევად მოღლილმა ჰიუიტმა ვერაფერი გააწყო მისივე იარაღით მეომარი — ანუ გარდი-გარდმო დაუღალავად მოხათქუნე — გაუჩოს წინააღმდეგ.



გუსტავო კუერტენი ჯერ მაინც ვერ არის ძველი გუგა

ჰიუიტს ერთი ისღა თუ ანუგეშებს, რომ მასსავით დროზე ადრე გავარდნილ კიმ კლაისტერსთან საკუდრაჭოდ ახლა უფრო მეტი დრო ექნება.

ბრაზილიელ ჩემპიონს კი ჩოგანი ესპანელმა ალბერტ კოსტამ შეუბრუნა. მეოთხე წრემდე გუგამ ჩვეული დახვეწილობითა და სინატიფით კი ითამაშა, მაგრამ ტურნირის ეკვატორზე უკვე დაღლილობა წამოეპარა. ეს არც არავის გაჰკვირვებია — ადრეთებერვალში ბარძაყზე გადატანილი მძიმე ოპერაციის შემდეგ გუგაბიჭი კორტს ამ რამდენიმე კვირის წინღა მოუბრუნდა.

ახლა ბრაზილიელი დასვენების აუცილებლობაზე საუბრობს და, როგორც გუშინ განაცხადა, ამის გამო წლევანდელ უიმბლდონს გამოტოვებს.

ჰიუიტისა და კუერტენის კვალს მიჰყვა ტურნირზე მესამე ნომრად განთესილი ტომი ჰაასიც.

რაც შეეხება ქალთა ბადეს, იქიდან გუშინ ერთი-მეორის მიყოლებით ამოშალეს მე-9, მე-10 და მე-11 ჩოგანთა მქნევლები — იტალიელი სილვია ფარინა ელია, ფრანგი ამელი მორესმო და სლოვაკი დანიელა ჰუნტუხოვა.

მონიკა სელეში, მისი შავდა თანამემამულე უილიამსები და ჩათქვირული ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი კი ბომბა ფორმაში არიან და მეტოქეებს დაუნდობლადაც ბდღვნიან.

**ლევან კელაურაძე**



# ზირაქიშვილი ბუდაპეშტში დაიბარეს
## რკინიგზა ჯერაც ბოლომდე სცემს

**მაშინ,** როცა ყველა კორეა-იაპონიას შეჰყურებს, უნგრეთის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბი, ბუდაპეშტის „ფერენცვაროში" ქართული ფეხბურთით დაინტერესდა.

„ფერენცვაროშს" მარჯვე ფორვარდის აყვანა განუზრახავს და ასეთად ზაზა ზირაქიშვილი შეუგულებია — მეთერთმეტე ეროვნულის საუკეთესო ფეხბურთელი და მეგოლე, შემდგომ კი თბილისის „დინამოსგან" დასჯილი და ახლა უგუნდოდ დარჩენილი.

ზირაქიშვილი ბუდაპეშტში 20 ივნისსაა დაბარებული. ამ დღეს „ფერენცვაროში" შვებულების შემდეგ პირველად შეიკრიბება. ჯერ არ არის ცნობილი, ზირაქიშვილს გასინჯავებს მოუწყობენ თუ კლუბში მაშინათვე ჩარიცხავენ.

მაგრამ ერთიცაა, ზაზას გადაბირებას თბილისური „ლოკომოტივიც" ფიქრობს, თუმც რკინიგზელები ჯერ არ ჩქარობენ გადაწყვეტილების მიღებას.

**დავით თავართქილაძე**

**ფინეთი**

**მე-8 ტური: ინტერი — იარო 3:1; ლაჰტი — ტამპერე 0:2; მიუპა — ჯაზი 1:3; ვაასა — ჰამენლინა 2:1, ჰაკა — ალიანსი 4:0**

**ნორვეგია**

**მე-10 ტური: ლილესტრომი — სტაბეკი 1:2; ლინი — სოგნდალი 1:0; მოლდე — ვალერენგა 2:0; მოსი — სტარტი 0:2; ოდ გრენლანდი — ბრანი 3:1; როზენბორგი — ბოდიო გლიმტი 4:3; ვიკინგი — ბრანი 4:1**

**იტალია**

სერია B. XXXVIII ტური

**ბარი — ტერნანა 2:1; კალიარი — ვიჩენცა 2:2; ჩიტადელა — პისტოიეზე 2:1; კროტონე — მესინა 1:2; ემპოლი — კოზენცა 1:2; მოდენა — სალერნიტანა 5:2; ნაპოლი — კომო 1:2; პალერმო — ანკონა 2:3; რეჯინა — ჯენოა 2:2; სამპდორია — სიენა 0:1**

სერია C. პლეი ოფი. I მატჩები

**ტრიესტინა — ლუკეზე 2:0; კატანია — ტარანტო 1:0**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვითელაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge